186
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

186

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

61

## № 1

იანვარი—თებერვალი

1970 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1970 წ.

11.424

## შ ი ნ ა ა რ ს ი


### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
2. ქ. თბილისის უწყებრივი საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში არსებული ზოგიერთი ნაკლის შესახებ.
3. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ახალი წესდების შემუშავებისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ.
4. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკური, სამხრეთ ოსეთის საოლქო და სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციების შექმნის შესახებ.
5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1967 წლის 30 მაისის № 353, 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილებების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები**

6. რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები**

7. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
8. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების იმ მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის მოსახლეობას.
9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აგვისტოს № 437 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების შესახებ.
10. სოფლის მეურნეობაში ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების შესახებ.
11. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საკითხები.
12. საექსპლოატაციოდ გადასაცემი საწარმოების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ხანგრძლიობის ნორმების შესახებ.
13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 615 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
14. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
15. საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 ივლისის № 474 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ
17. საქართველოს სსრ წიფლნარ-წაბლნარი და თელნარი ტყის კორომების სამეურნეო სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების ღონისძიებათა შესახებ.
18. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ
20. საქართველოს სს რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
21. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ.
22. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლის ნორმების შესახებ.
23. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის № 953 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 550 დადგენილების მე-4 პუნქტის $11^3$ ქვეპუნქტი.
26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებაში ცვლილებების შეტანისა და სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების განაწილების შესახებ.
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
28. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ მოხუცებულობის პენსიონერებთან და ინვალიდებთან ხელშეკრულებათა დადების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ.
29. საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 1 საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების დებულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

დამტკიცდეს თანდართული დებულებანი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 13 იანვარი, № 19.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 იანვრის № 19
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიები მიენიჭებათ მეცნიერული გამოკვლევებისათვის, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ სამამულო მეცნიერების განვითარებაში; ყველაზე პროგრესული მასალების, მანქანებისა და მექანიზმების შექმნისა და სახალხო მეურნეობაში და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერგვისათვის; ახალი დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესებისათვის; ისეთი მოწინავე საწარმოო-ტექნიკური გამოცდილების დანერგვისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის; სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის და მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საკითხებზე ღრმა თეორიული გამოკვლევებისათვის.

**შენიშვნები:** ა) თუ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ახალ დიდ წარმატებებს მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ეს პრემია შეიძლება მიეკუთვნოს მას განმეორებით, მაგრამ იმ დროიდან არა უადრეს 4 წლისა, რაც მას წინათ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემია;

ბ) იმ შრომების განხილვისას, რომელთა ავტორებს მათთვის უკვე მიენიჭათ მთავრობის ჯილდოები, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭება დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად შრომებს წარადგენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოებები, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სამინისტროების კოლეგიები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტები, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, სამეცნიერო--კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები, გამომცემლობები, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები, **საწარმოთა, დაწესებულებათა** და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებები. ნაშრომების წარდგენა უნდა ხდებოდეს მათი მნიშვნელობის შეფასებისადმი მაღალი მომთხოვნელობის, კანდიდატურებისა და ავტორთა კოლექტივების ობიექტური და არგუმენტირებული **განხილვის ვითარებაში.**

იმ ნაშრომების ნუსხა, რომლებიც შერჩეულია შემდგომ განსახილველად კომიტეტის მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების სექციების მიერ მათი შესწავლის შედეგად, გამოქვეყნდება გაზეთ „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“.

ერთი და იგივე ნაშრომის ერთდროულად წარდგენა ლენინური პრემიის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად არ შეიძლება.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის მისანიჭებლად წარდგენილი კოლექტივი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ძირითად წამყვან ავტორებს, ვისი შემოქმედებითი წვლილი ყველაზე თვალსაჩინო იყო. ავტორთა კოლექტივების შემადგენლობაში პირთა შეტანა მარტო ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მუშაობის ნიშნით არ დაიშვება. ავტორთა კოლექტივების შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 7 კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილ შრომებს მიიღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტი ორ წელიწადში ერთხელ 1 ოქტომბრამდე ლუწ წლებში, 1970 წლიდან დაწყებული.

იმ მიზნით, რომ საზოგადოებრიობამ წინასწარ ფართოდ განიხილოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისაღებად წამოყენებული შრომები, ეს მეცნიერული შრომები წარდგენილი იქნება პრემიების მისანიჭებლად პრესაში მათი გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ერთი წლისა. საინჟინერო-ტექნიკური ნაგებობანი, გამოგონებანი, მანქანათა კონსტრუქციები, ახალი მასალები, ტექნოლოგიური პროცესები, წარმოების მეთოდების გაუმჯობესებანი წარდგენილი იქნება პრემიების მისანიჭებლად სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვის შემდეგ. მათი აღწერილობა წარედგინება საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს მანქანაზე დაბეჭდილი ოთხ ეგზემპლარად.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წამოყენებული მეცნიერული შრომები წარედგინება კომიტეტს სტამბური წესით დაბეჭდილ ოთხ ეგზემპლარად.

5. კომიტეტის მიერ გასარჩევი შრომები ყოველმხრივ და პრინციპულად უნდა იყოს განხილული პრესაში, სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა თათბირებსა და კონფერენციებზე, მეცნიერთა, სამეცნიერო-ტექნიკურ და სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოების სხდომებზე, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კოლექტივების კრებებზე.

განხილვის მოწყობა ეკისრება სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, შემოქმედებითი კავშირების გამგეობებს, გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებს, სამეცნიერო და შემოქმედებითი კოლექტივების, გამომცემლობების, საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ამ განხილვის მთელი მასალები დროზე უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს იმ მიზნით, რომ ეს მასალები გამოყენებულ იქნეს პრემიების მისანიჭებლად წარდგენილი შრომების გარჩევის დროს.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი განიხილავს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად წარდგენილ შრომებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს ყველაზე ღირსეული შრომების ავტორებისათვის პრემიების მინიჭების შესახებ.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიები მიენიჭებათ ორ წელიწადში ერთხელ 4 პრემიის რაოდენობით. თითოეული პრემიის ოდენობა შეადგენს 2,5 ათას მანეთს.

8. კომიტეტის გადაწყვეტილებანი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ამ გადაწყვეტილებებს დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. საქართველოს კპ ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის, 1971 წლიდან დაწყებული. იმ პირებს, რომლებმაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მიიღეს, მიენიჭებათ წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი", გადაეცემა დიპლომი და საპატიო ნიშანი პრემიის მინიჭების წლის აღნიშვნით.

ავტორთა კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭებისას კომიტეტი ხელმძღვანელობს შემდეგით: როდესაც ორი ავტორია, — პრემია მათ შორის იყოფა თანაბრად; როდესაც ავტორთა კოლექტივი სამი კაცისაგან შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი გაიყოფა თანაბრად დანარჩენ ორს შორის; როდესაც კოლექტივი ოთხი და მეტი კაცისაგან შედგება, ხელმძღვანელს მიეცემა პრემიის მესამედი, ხოლო ორი მესამედი თანაბრად გაიყოფა კოლექტივის დანარჩენ წევრებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ავტორთა კოლექტივს არ წამოუყენებია ხელმძღვანელი, პრემია თანაბრად იყოფა კოლექტივის ყველა წევრს შორის.

---

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 13 იანვრის № 19
დადგენილებით

# ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი შეიქმნება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს ევალება:

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭება მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების დარგში თვალსაჩინო შრომებისათვის, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო 4 წლის ვადით.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კომიტეტის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომიტეტის გადაწყვეტილება სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ მიიღება დახურული კენჭისყრით, დამსწრეთა რიცხვის სულ ცოტა სამი მეოთხედი ხმის უმრავლესობით.

კომიტეტის გადაწყვეტილება სახელმწიფო პრემიის მინიჭების შესახებ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელთა დადგენილებანი რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნდება იმ ვადებში, რაც დაწესებულია დებულებით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების შესახებ.

5. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრები გაეცნობიან კომიტეტში შემოსულ ნაშრომებს და საჭიროების შემთხვევაში გაემგზავრებიან ადგილებზე პრემიების მისანიჭებლად წარდგენილი შრომების უფრო სრული და ყოველმხრივი ექსპერტიზისათვის.

კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) შექმნას სექციები და საექსპერტო კომისიები მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეულ დარგებში შრომების წინასწარ განსახილველად და რეკომენდაციების მისაღებად;

ბ) მიანდოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის შრომების განხილვა საწარმოებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებს;

გ) გაგზავნოს ექსპერტთა კომისიები, რათა გაეცნონ ადგილზე სამშენებლო და ტექნიკურ ნაგებობებს, გამოგონებებს, კონსტრუქციებს, მასალებს, ტექნოლოგიურ პროცესებს და მათი დანერგვის მდგომარეობას;

დ) საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მისანიჭებლად შემოსული შრომების სარეცენზიოდ მოიწვიოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეული მეცნიერები და სპეციალისტები. აღნიშნულ პირთა შრომა ანაზღაურდება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული განაკვეთების მიხედვით.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტთან არსებობს სამდივნო, რომელიც წინასწარ შეისწავლის პრემიების მისანიჭებლად წარდგენილ შრომებს, მოამზადებს მთელ მასალას კომიტეტის სექციებში და პლენუმზე განსახილველად, შეისწავლის და განაზოგადებს წარდგენილ ნაშრომებზე რეცენზიებისა და სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურის საზოგადოებრივი განხილვის მასალებს, ეწევა საქმისწარმოებას, აგრეთვე მოაწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის წამყვან მოღვაწეთა გამოსვლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით იმ შრომების შესახებ, რომლებსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს აქვს ბეჭედი და ანგარიში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ განყოფილებაში.

---

## 2 ქ. თბილისის უწყებრივი საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში არსებული ზოგიერთი ნაკლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო და ორგანიზაცია არღვევს ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის დადგენილ წესს.

სამინისტროებისა და უწყებების მიერ აშენებული საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას ყოველთვის როდი ითვალისწინებენ, თუ რამდენად სჭირდება საცხოვრებელი ფართობი მუშაკებს.

ამასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში ბინებს აძლევენ ისეთ პირებს, რომლებიც ქ. თბილისში არ ცხოვრობენ. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა შეასუსტეს კონტროლი საუწყებო სახლებში შესასახლებელი მოქალაქეებისათვის ორდერების მიცემისადმი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიიღონ საჭირო ზომები, რათა მტკიცედ იქნეს დაცული ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის დადგენილი წესი.

2. დაევალოთ საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გააძლიერონ კონტროლი უწყებრივ სახლებში საცხოვრებელი ფართობის განაწილებისადმი, სათანადო წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში და მტკიცედ დაიცვან ინსტრუქცია ქ. თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ.

შესრულებული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მუავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ბ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 13 იანვარი, № 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 3 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ახალი წესდების შემუშავებისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა კოლმეურნეობის წესდების სწორად შემუშავებასა და დამტკიცებას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მოაწყონ თითოეულ კოლმეურნეობაში მუშაობა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების საფუძველზე წესდების შესამუშავებლად, ამასთან გაითვალისწინონ მოცემული მეურნეობის კონკრეტული პირობები და თავისებურებანი და დაამტკიცონ იგი კოლმეურნეთა უფლებამოსილ საერთო კრებაზე (რწმუნებულთა კრებაზე). ამ მიზნით მოიზიდონ მოწინავე კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

2. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიაღმასკომებმა (საქალაქო აღმასკომებმა) შემოიღონ „კოლმეურნეობათა წესდებების რეგისტრაციის რაიონული წიგნი", კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიისა და სხვა წარმომადგენელთა დასწრებით განიხილონ და რეგისტრაციაში გაატარონ კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე) დამტკიცებული წესდებები რაიაღმასკომის (საქალაქო აღმასკომის) თავმჯდომარისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის ხელმოწერით და საერთო კრების სათანადო ოქმის თანდართვით.

კოლმეურნეობის რეგისტრირებული წესდება ჩაბარდეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წესდებათა რეგისტრაციის წიგნში ხელწერილით, ხოლო მეორე და მესამე ეგზემპლარები შეინახონ როგორც დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი რაიაღმასკომსა და სოფლის მეურნეობის სამმართველოში.

კოლმეურნეობათა წესდებების დამტკიცება და რეგისტრაცია დამთავრდეს 1970 წლის 1 მარტამდე.

3. მიმდინარე წლის 23 იანვარს მოეწყოს საქართველოს კპ საოლქო კომიტეტების, რაიკომების მდივნების, რაიაღმასკომების (საქალაქო აღმასკომების) თავმჯდომარეების და სოფლის მეურნეობის რაიონული (საქალაქო) სამმართველოების უფროსების რესპუბლიკური თათბირი კოლმეურნეობების მიერ ახალი წესდების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა 1970 წლის 23 იანვრამდე გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე კოლმეურნეობის წესდება რეგისტრაციისათვის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლმეურნეობის წესდების გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯები გასწიოს იმ საოპერაციო სახსრების ხარჯზე, რომლებიც მას დამტკიცებული აქვს 1970 წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებმა და რაიკომებმა (საქალაქო კომიტეტებმა), აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიმდინარე წლის 15 მარტამდე წარმოადგინონ ამ დადგენილების შესრულების ანგარიში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**შ. ჭანუყვაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 21 იანვარი, № 43.

## 4 საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკური, სამხრეთ ოსეთის საოლქო და სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციების შექმნის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნეს 1970 წლის 1 მარტიდან საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემაში:

ა) აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები, რომლებსაც დაეკისროთ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობაში შემავალი ყველა რაიონის მომსახურება;

ბ) შეიქმნეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის 21 სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექცია ამ ინსპექციების შემდეგი დისლოკაციით: ახალქალაქის რაიონში, რომელიც მომსახურებას გაუწევს ბოგდანოვკის რაიონს, ახალციხის რაიონში — მომსახურებას გაუწევს ასპინძისა და ადიგენის რაიონებს, ხაშურის რაიონში — მომსახურებას გაუწევს ბორჯომის რაიონს, გორის — მომსახურებას გაუწევს კასპისა და ქარელის რაიონებს, დუშეთის — მომსახურებას გაუწევს მცხეთისა და ყაზბეგის რაიონებს, თელავის — მომსახურებას გაუწევს ახმეტისა და ყვარლის რაიონებს, გურჯაანის — მომსახურებას გაუწევს საგარეჯოს რაიონს, სიღნაღის — მომსახურებას გაუწევს წითელწყაროს და ლაგოდეხის რაიონებს, გარდაბნის — მომსახურებას გაუწევს თიანეთის რაიონს, ბოლნისის — მომსახურებას გაუწევს მარნეულისა და დმანისის რაიონებს, წალკის — მომსახურებას გაუწევს თეთრიწყაროს რაიონს, ზესტაფონის — მომსახურებას გაუწევს ორჯონიკიძისა და თერჯოლის რაიონებს, საჩხერის — მომსახურებას გაუწევს ჭიათურას, წყალტუბოს —მომსახურებას გაუწევს ტყიბულს, სამტრედიის — მომსახურებას გაუწევს წულუკიძის რაიონს, ვანის — მომსახურებას გაუწევს მაიაკოვსკის რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონს, მახარაძის — მომსახურებას გაუწევს ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებს, ამბროლაურის — მომსახურებას გაუწევს ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებს, ზუგდიდის — მომსახურებას გაუწევს მესტიისა და წალენჯიხის რაიონებს, გეგეჭკორის — მომსახურებას გაუწევს აბაშის რაიონს და ცხაკაიას — მომსახურებას გაუწევს ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებს.

2. დაწესდეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების და სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციების მუშაკთა რაოდენობა და ხელფასის თვიური ფონდი, დანართის თანახმად.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომელთა ტერიტორიაზე ეწყობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები, უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ მათი დაბინავება.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 იანვრის № 30 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად:

ა) დაწესდეს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი 160 ერთეულის რაოდენობით და ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით 22.521 მანეთის ოდენობით;

ბ) გადაეცეს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტიდან „საქკონსერვხილბოსტნიდან“ 10 საშტატო ერთეული და ხელფასის თვიური ფონდი — 1.240 მანეთი, ნაცვლად აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული 29 ერთეულისა და ხელფასის 3.602 მანეთის თვიური ფონდისა.

5. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადასცეს დამზადების სამინისტროს 178 საშტატო ერთეული და ხელფასის 21.894 მანეთის თვიური ფონდი, აგრეთვე მათი შესანახი სახსრები დაწესებული ნორმების შესაბამისად.

6. დაევალოს ფინანსთა სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეუმცირდეთ სამინისტროებსა და უწყებებს შტატები და მათი შენახვის ხარჯები იმ ასიგნებებში არსებული დანაკლისის დასაფარავად, რომლებიც გამოიყოფა დამზადების სამინისტროს ორგანოების შესანახად.

7. საკავშირო ორგანოებში საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე შენარჩუნებულ იქნეს არსებული წესი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის შენახვისა მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების ანარიცხთა ხარჯზე.

8. იმის გამო, რომ საჭიროა რაიონული საბჭოების აღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების მუშაკთა ერთი ნაწილის გამოყენება დამზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ორგანოების დასაკომპლექტებლად, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთი დეკადის ვადაში წარმოადგინოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი აღნიშნული სამმართველოების შტატების შესახებ.

9. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა მიმდინარე წლის 15 მარტისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნენ 1970 წელს ტრანსპორტით სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის რესპუბლიკური, საოლქო და სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციები.

10. დაევალოთ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს შრომის გეგმასა და რესპუბლიკის ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები.

11. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროსთან ერთად დააკომპლექტონ დამზადების ორგანოები მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტებით.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე<br>**ბ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 25 თებერვალი, № 94.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 25 ოქტომბრის № 94 დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ნუსხა

### საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს აფხაზეთის და აჭარის რესპუბლიკურ, სამხრეთ ოსეთის საოლქო და სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციებისა

| სახელმწიფო ინსპექციების დასახელება | მოადგილე სახელმწიფო ინსპექტორები | სახელმწიფო ინსპექტორები | ეკონომისტები | მექანიკოსინჟინერები | მუშებიანი ავტომობილების მოდელები | ... | სახელმწიფო ინსპექციის აპარატის ორგანიზაციის სრულყოფილებასა და ეფექტიანობაზე ზრუნვის | ხელფასის ოფიციალური ფონდი (მანეთებით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ინსპექცია — მომსახურებას გაუწევს ასსრ-ში შემავალ ყველა რაიონს | 1 | 9 | 1 | 1 | 2 | 14 | 3 | 2.142 |
| 2. აჭარის ასსრ სახელმწიფო ინსპექცია — მომსახურებას გაუწევს ასსრ-ში შემავალ ყველა რაიონს . . . | 1 | 7 | 1 | 1 | 2 | 12 | 3 | 1.802 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სახელმწიფო ინსპექცია — მომსახურებას გაუწევს ოლქში შემავალ ყველა რაიონს . . . . . | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 9 | 3 | 1.292 |
| სულ ასს რესპუბლიკებსა და ოლქში | 3 | 20 | 3 | 3 | 6 | 35 | — | 5.236 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახელმწიფო ინსპექტორების დასახელება | მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი | სახელმწიფო ინსპექტორი | ექიმი-ინსპექტორი | ექიმი-ბალნეოლოგი | ფარმაცევტ-ინსპექტორი | სულ | სახელმწიფო ინსპექტორის ადგილსამყოფელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექტორები** | | | | | | | |
| 1. ამბროლაურის — მომსახურებას გაუწევს ონის, ცაგერის და ლენტეხის რაიონებს | 1 | 4 | — | 1 | 1 | 7 | 1 |
| 2. ახალქალაქის — მომსახურებას გაუწევს ბოგდანოვკის რაიონს . . . | 1 | 3 | — | 1 | 1 | 6 | 1 |
| 3. ახალციხის — მომსახურებას გაუწევს ასპინძის და ადიგენის რაიონებს . | 1 | 3 | — | 1 | 1 | 6 | 1 |
| 4. ბოლნისის — მომსახურებას გაუწევს მარნეულის და დმანისის რაიონებს | 1 | 3 | — | 1 | 1 | 6 | 1 |
| 5. გეგეჭკორის — მომსახურებას გაუწევს აბაშის რაიონს . . . . . | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 |
| 6. დუშეთის — მომსახურებას გაუწევს ყაზბეგის და მცხეთის რაიონებს . . | 1 | 3 | — | 1 | 1 | 6 | 1 |
| 7. ზესტაფონის — მომსახურებას გაუწევს თერჯოლის და ორჯონიკიძის რაიონებს . . . . . | 1 | 3 | — | 1 | 1 | 6 | 1 |
| 8. ზუგდიდის — მომსახურებას გაუწევს წალენჯიხის და ფოთის რაიონებს | 1 | 4 | — | 1 | 1 | 7 | 1 |
| 9. სოხუმის — მომსახურებას გაუწევს წითელწყაროს და ოგურცოვის რაიონებს . . . . . | 1 | 5 | — | 1 | 1 | 8 | 1 |
| 10. გორის — მომსახურებას გაუწევს კასპის და ჭარელის რაიონებს . . | 1 | 5 | — | 1 | 1 | 8 | 1 |
| 11. თელავის — მომსახურებას გაუწევს ახმეტის და ყვარლის რაიონებს . | 1 | 4 | — | 1 | 1 | 7 | 1 |

11.424

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სახელმწიფო ინსპექციების დასახელება | მთავარი სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი | სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორი | ტექნიკოსი | მცენარეთა დაცვის ინსპექტორი | მეფუტკრეობის ინსპექტორი | სულ | სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12. გერგეთის — მომსახურებას გაუწევს სიგნაღის რაიონს | 1 | 4 | — | 1 | 1 | 7 | 1 | |
| 13. გორდასნის — მომსახურებას გაუწევს თიანეთის რაიონს | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| 14. წალკის — მომსახურებას გაუწევს თეთრიწყაროს რაიონს | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| 15. სარეკის — მომსახურებას გაუწევს ჭიათურას | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| 16. სამტრედიის — მომსახურებას გაუწევს წალენჯიხის რაიონს | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| 17. წყალტუბოს — მომსახურებას გაუწევს ტყიბულ | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| 18. ვანის — მომსახურებას გაუწევს მაიაკოვსკის რაიონს | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| 19. მახარაძის — მომსახურებას გაუწევს ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებს | 1 | 4 | — | 1 | 1 | 7 | 1 | |
| 20. ცხაკაიის — მომსახურებას გაუწევს ზესტაფონის და ხობის რაიონებს | 1 | 3 | — | 1 | 1 | 6 | 1 | |
| 21. ხაშურის — მომსახურებას გაუწევს ბორჯომის რაიონს | 1 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 1 | |
| სულ სარაიონთაშორისო ინსპექციები | 21 | 64 | — | 21 | 21 | 127 | — | 18.478 |
| მთლიან რესპუბლიკაში | 24 | 84 | 3 | 24 | 27 | 162 | — | 23.714 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1967 წლის 30 მაისის № 353, 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილებების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფსაბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს რაიონების დაინტერესება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით, სტიმული მიეცეს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას სოციალისტური შეჯიბრების მეოხებით და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1967 წლის 30 მაისის № 353, 1962 წლის 8 მაისის № 313 დადგენილებების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 670 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაწესდეს:

ა) **ჩაის ფოთლის** წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის — სამი გარდამავალი წითელი დროშა მეჩაიეობის რაიონების სამი ჯგუფისათვის.

— მეჩაიეობის რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთისა და გალის რაიონები.

—მეჩაიეობის რაიონების მეორე ჯგუფს მიეკუთვნოს წალენჯიხის, ოჩამჩირის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ბათუმისა და ჩოხატაურის რაიონები.

— მეჩაიეობის რაიონების მესამე ჯგუფს მიეკუთვნოს წულუკიძის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ტყიბულის, ხობის, გუდაუთის, გულრიფშისა და სამტრედიის რაიონები;

ბ) **ყურძნის** წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის — ორი გარდამავალი წითელი დროშა რაიონების ორი ჯგუფისათვის.

—მევენახეობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მებრძოლი რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, სიღნაღის, ახმეტის, ყვარლის, მარნეულის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და საგარეჯოს რაიონები.

—ყურძნის მწარმოებელი ყველა დანარჩენი რაიონი მიეკუთვნოს იმ რაიონების მეორე ჯგუფს, რომლებიც მევენახეობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იბრძვიან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) **ხილის** წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის — ორი გარდამავალი წითელი დროშა რაიონების ორი ჯგუფისათვის.

— მეხილეობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მებრძოლი რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს გორის, ცხინვალის, ქარელის, კასპის, ლანჩხუთის, ტყიბულის, მახარაძის, გარდაბნის, ლაგოდეხის, სამტრედიის, ახალციხის რაიონები.

— ხილის მწარმოებელი ყველა დანარჩენი რაიონი მიეკუთვნოს იმ რაიონების მეორე ჯგუფს, რომლებიც მეხილეობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იბრძვიან;

დ) **ბოსტნეულის** წარმოებისა და დამზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის — ორი გარდამავალი წითელი დროშა რაიონების ორი ჯგუფისათვის.

— მებოსტნეობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მებრძოლი რაიონების პირველ ჯგუფს მიეკუთვნოს გარდაბნის, წყალტუბოს, მარნეულის, გორის, სამტრედიის, მცხეთისა და კასპის რაიონები.

ბოსტნეულის მწარმოებელი ყველა დანარჩენი რაიონი მიეკუთვნოს იმ რაიონების მეორე ჯგუფს, რომლებიც მებოსტნეობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იბრძვიან.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს<br>პროფსაბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**შ. კიკნაძე.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 24 თებერვალი, № 98.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

## 6 რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა, უწყებებმა და პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა და პროფესიული კავშირების შესაბამისმა საოლქო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოებმა შეავსონ რესპუბლიკური და საოლქო სოციალისტური შეჯიბრების პირობები შემდეგი მაჩვენებლებით:

სატვირთო ოპერაციების დროს ვაგონების მოცდენის (ბრუნვის) ნორმების დაცვა;

მოძრავი შემადგენლობის დაცვა-შენახვა;

ვაგონების ტვირთამწეობისა და ტევადობის გამოყენება.

საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური და საოლქო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად ჩაითვალოს რკინიგზის ვაგონების გამოყენების მდგომარეობა (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მონაცემების მიხედვით).

2. მიღებულ იქნეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს რესპუბლიკის იმ საწარმოების, ორგანიზაციების (სატრანსპორტო საამქროების) და საავტომობილო მეურნეობების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება 1970 წელს რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის ცენტრალიზებულ გამოზიდვას რკინიგზის სადგურებიდან.

დაწესდეს შეჯიბრების გამარჯვებულთათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია 1500 მანეთის ოდენობით, ერთი მეორე პრემია 700 მანეთის და ერთი მესამე პრემია 400 მანეთის ოდენობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები.

3. დაწესდეს, რომ რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს შეაჯამებენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო კვარტალში ერთხელ.

4. მიღებულ იქნეს ცნობად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ინფორმაცია, რომ რკინიგზის ვაგონების უკეთ გამოყენებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად სახსრებს გამოყოფს ამიერკავკასიის რკინიგზა.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**გ. ჯავახიშვილი.** | საქართველოს პროფკავშირთა<br>რესპუბლიკური საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**შ. კიკნაძე.** |

ქ. თბილისი, 1970 წ. 12 თებერვალი, № 63.

მუხ. 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 7 საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

**დამტკიცდეს** დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 7 იანვარი, № 3.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 7 იანვრის № 3 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს შესახებ

### I. ზოგადი დებულება

1. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 56 და 58 მუხლების შესაბამისად, არის საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო, მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის გარდა, წარმოადგენს ისეთ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს საგზაო პოლიტიკას რესპუბლიკაში და უფლება აქვს შეამოწმოს ტექნიკური ნორმებისა და წესების დაცვა რესპუბლიკის იმ საავტომობილო გზების მშენებლობის დროს, რომლებსაც სხვა სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები არიან:

ა) გზების სამმართველოები, რომლებიც განაგებენ ტურისტული მნიშვნელობის გზებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საგზაო-საექსპლოატაციო უბნები, რომლებიც განაგებენ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებს;

გ) საგზაო-სარემონტო-სამშენებლო ტრესტი და მისი ქვესაუწყებო საგზაო და ხიდსარემონტო-სამშენებლო სამმართველოები და სარემონტო-სამშენებლო უბნები;

დ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან არსებული საგზაო სამმართველოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის საგზაო განყოფილება და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საწარმოო-საგზაო უბნები, რომლებიც ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს განაგებენ.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებიან ორგანიზაციები, რომლებიც საჭირონი არიან სამინისტროს საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ამ ორგანიზაციების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია დადგენილი წესით ხდება.

## II. ამოცანები

1. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— მისთვის მინდობილი დარგის, როგორც სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივ განვითარება, კეთილმოწყობილი საავტომობილო გზების ქსელის განვითარების მაღალი ტემპების უზრუნველყოფა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით;

— სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

— საავტომობილო გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი და ისეთ მდგომარეობაში შენახვა, რაც უზრუნველყოფს საავტომობილო ტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო მოძრაობას;

— კაპიტალური მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ყველა სახის სარემონტო სამუშაოთა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შემუშავება და დამტკიცება დადგენილი წესით;

— ისეთ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ საგზაო-სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას, მათი თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური ფონდების რაციონალურად გამოყენებას და საშენი მასალებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარჯვის დაწესებული ნორმების შესრულებას;

— მუშაობის მოწინავე მეთოდების, ახალი ტექნიკის უახლესი კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიის, მოწინავე გამოცდილების დანერგვა საგზაო მეურნეობაში და მაღალი საწარმოო და ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

— ნორმატივების, დებულებების, წესების, ინსტრუქციებისა და სხვა ხელმძღვანელ მითითებათა შემუშავება და გამოცემა გზების მშენებლობის, რემონტისა და შენახვის დარგში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციების, მშენებლობებისა და წესებულებების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, ისეთ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი საქმიანობაში.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად შეფარდებას სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

## III. უფლებანი და მოვალეობანი

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

1. შეადგენს საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და შენახვის გეგმების, შრომისა და თვითღირებულების გეგმების პროექტებს, აგრეთვე შემოსავლისა და გასავლის ბალანსებს, დადგენილი წესით წარუდგენს აღნიშნული გეგმების პროექტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად და უზრუნველყოფს მათს შესრულებას.

2. დაამტკიცებს თავისი სისტემის თვითეული მეურნეობის მიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების საფუძველზე, გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ყველა სახეობის რემონტისა და შენახვის სამუშაოთა გეგმებს, გაანაწილებს და გადაანაწილებს სახსრებს დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით, ამასთან შეცვლის მათ მიმართულებას დადგენილი წესით და უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას და საწარმოო სიმძლავრეთა დროულად გადაცემას საექსპლოატაციოდ; შეცვლის და გადაანაწილებს საწარმოებს შორის საკუთარ საბრუნავ სახსრებს.

3. დადგენილი წესით მოაწყობს ახალ და დისლოკაციას გამოუცვლის ან გააუქმებს არსებულ საგზაო-საექსპლოატაციო, საგზაო-სარემონტო-სამშენებლო მეურნეობებსა და სხვა საგზაო ორგანოებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ დებულების I განაყოფის მე-3 პუნქტში, გარდა იმ ორგანოებისა, რომლებიც მომსახურებას უწევენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს.

4. უზრუნველყოფს გამომუშავების დაწესებული სადირექტივო ნორმების შესრულებას საავტომობილო ტრანსპორტით და საგზაო-სამშენებლო მექანიზმებით, მათს დროულად შეკეთებას და მაღალ ტექნიკურ მზადყოფნას.

5. უზრუნველყოფს კანონების, აგრეთვე ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც საავტომობილო გზების მშენებლობასა და ექსპლოატაციას შეეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. შეიმუშავებს რესპუბლიკის საგზაო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს და დადგენილი წესით წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

7. შეათანხმებს დადგენილი წესით (საერთო სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე):

— ყველა იმ ობიექტის საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას, რომლებიც საავტომობილო გზების გასწვრივ უნდა აშენდეს, უბნების განაშენიანების კომპლექსური ანსამბლების შექმნის მიზნით, ამასთან განსაზღვრავს კოოპერირების შესაძლებლობას და მენაშენეთა წილობრივ მონაწილეობას;

იმ ადგილებს, სადაც საავტომობილო გზებს გადაკვეთავენ სარკინიგზო, სატელეგრაფო, სატელეფონო და ელექტროგადამცემი ხაზები, სარწყავი არხები და სხვა მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობანი;

— უწყებრივი მისასვლელი ლიანდაგების, სხვა ნაგებობათა მშენებლობის პროექტებს და საავტომობილო გზებთან ამ ლიანდაგებისა და ნაგებობების შეერთების პროექტებს.

8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შეამოწმებს მათს შესრულებას; შეაჩერებს და გააუქმებს მისი ქვესაუწყებო ორგანიზაციების ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და განკარგულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონებს, აგრეთვე ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

9. შეიმუშავებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების, კადრების დენადობის აღკვეთის ღონისძიებებს; კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დადგენილი პირობების სწორად გამოყენებას, შრომითი კანონმდებლობის დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვას.

10. პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას შრომისნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და როგორც მატერიალური, ისე ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვისათვის; უხელმძღვანელებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებას და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას; მიიღებს ზომებს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველმხრივ განვითარებისათვის, დახმარებას აღმოუჩენს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს მათს მუშაობაში.

11. მოაწყობს ტექნიკურ ნორმირებას და გამომუშავების ნორმების გადასინჯვას, უზრუნველყოფს მათს შესრულებას. კონტროლს გაუწევს შრომის კანონმდებლობის და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესრულებას.

12. დადგენილი წესით დააფინანსებს ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლების შესრულება და უზრუნველყოფს მოგებისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუჯეტო გადასახდელთა გეგმის შესრულებას; დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს; შექმნის რეზერვს ქვესაუწყებო ორგანიზაციებისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაწევად; გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, მოწყობილობის თანხების, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის და სხვა სახსრების გადასანაწილებლად, აგრეთვე ცალკეულ ანგარიშებს ცენტრალიზებული ფონდების სახსრების შესანახად.

13. მოაწყობს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, განსაზღვრავს მასალებსა, მოწყობილობასა, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე არსებულ მოთხოვნილებას, მიიღებს და გაანაწილებს დადგენილი წესით ქვესაუწყებო მეურნეობებს შორის სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, კონტროლს გაუწევს ფონდების რეალიზაციას და მათ გამოყენებას დანიშნულებისამებრ; კონტროლს გაუწევს ქვესაუწყებო მეურნეობების მიერ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებასა და შესრულებას.

14. დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობათა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს პერიოდულ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს სამინისტროს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, აგრეთვე მოაწყობს და ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებში; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პირველადი დოკუმენტაციისა და პერიოდული აღრიცხვის შემდგომი გამარტივება, შემცირება და გაუმჯობესება, საანგარიშო ტექნიკის უახლეს საშუალებათა ფართოდ დანერგვა.

## IV. სტრუქტურა

1. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, დანიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში —საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

2. საავტომობილო გზების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარის), მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტისა და შენახვის ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების პროექტებს, სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა მოხსენებებს და მისდამი დაქვემდებარებულ მეურნეობათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის წამოჭრილი უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების განსახილველად, დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში საავტომობილო გზების სამინისტრო ცვლილებებს შეიტანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში. სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი.

6. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 8 ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების იმ მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის მოსახლეობას

„ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების იმ მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის მოსახლეობას“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 2 დეკემბრის № 914 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. უფლება მიენიჭოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განახორციელონ რაიონების მემადგენლობაში მემავალ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში (მათ შორის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, რომლებიც ამ რაიონების ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენენ) სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-პროფილაქტიკური და სააფთიაქო დაწესებულებების მშენებლობა სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის იმ წესით, როგორც ეს გათვალისწინებულია „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების 24-ე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

2. დაწესდეს, რომ მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთათვის საბინაო მშენებლობა, რომელიც ხორციელდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების 24-ე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და ამ დადგენილების შესაბამისად, წარმოებს იმ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, რაც გამოეყოფათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა იმ მედიცინის და ფარმაცევტი მუშაკებისათვის ბინების ასაშენებლად, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის მოსახლეობას.

3. შეტანილ იქნეს იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიაში, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, ვინც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, — მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა საცხოვრებელი სახლები, რომელთა მშენებლობა ხორციელდება სოფლად სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-პროფილაქტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სააფთიაქო დაწესებულებების მშენებლობასთან კომპლექსურად, სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 2 დეკემბრის № 914 დადგენილებით „ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის მოსახლეობას“:

— დააწესა, რომ ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით აშენებულ სახლებში არ უნდა იქნან ჩასახლებული ისეთი პირები, რომლებიც არ მუშაობენ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის დაწესებულებებში;

— დაავალა სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცონ იმ საცხოვრებელი ფართობის ნორმატივები, რომელიც აღნიშნულ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში უნდა აშენდეს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობასთან კომპლექსურად სოფლის მოსახლეობის მომსახურებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 12 იანვარი, № 14.

## 9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აგვისტოს № 437 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიის ჩატარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აგვისტოს № 437 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად და დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს რესპუბლიკური მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიის თანდართული პირობები.

2. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) აძლიოს იმ პირებს, რომლებიც ლატარიის ბილეთებს ჰყიდიან, გასამრჯელო გაყიდული ბილეთების თანხის 2 პროცენტის ოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შექმნას პრემიალური ფონდი იმ მუშაკთა წასახალისებლად, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ წიგნის ლატარიის გატარებაში, გაყიდული ბილეთების თანხის ერთპროცენტიანი ანარიცხის ხარჯზე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 აგვისტოს № 437 დადგენილების მე-2 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 14 იანვარი, № 23

**დამტკიცებულია**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 14 იანვრის № 23
დადგენილებით

## პ ი რ ო ბ ე ბ ი

### საქართველოს სსრ რესპუბლიკური მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიისა

საქართველოს სსრ მუდმივმოქმედი წიგნის ლატარია ტარდება წიგნადი სახვითი, ფილატელისტური და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის პროპაგანდისა და მოსახლეობაში ფართოდ გავრცელების მიზნით.

1. მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიის საერთო თანხა (პირველი გამოშვებისა) განისაზღვრება 500.000 მანეთით. გამოიშვება ამ თანხის 2.000.000 ბილეთი, თითოეული 25 კაპიკად ღირებული.

2. ლატარიის მოგებათა საერთო თანხა შეადგენს 450.000 მანეთს, გამოშვებული ბილეთების თანხის 90 პროცენტს.

3. ლატარიის ბილეთები იყოფა სერიებად, თითოეული გამოშვება შეიცავს 20.000 სერიას, თითოეული სერია შედგება 200 ბილეთისაგან.

4. ლატარიის პირველ გამოშვებაში გათამაშდება 500.000 მოგება, თანხით 450.000 მან. მოგება დგინდება ფულადი გამოხატულებით: მინიმალური 50 კაპ. მაქსიმალური — 10 მან. ყოველ 200 ბილეთზე განისაზღვრება 50 მოგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თითოეულ გამოშვებაში მათი ღირებულების მიხედვით დგინდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

| თითო მოგების ღირებულება | რაოდენობა | საერთო თანხა (მანეთობით) |
|---|---|---|
| 50 კაპ. | 400.000 | 200.000 |
| 1 მან. | 70.000 | 70.000 |
| 3 მან. | 10.000 | 30.000 |
| 5 მან. | 10.000 | 50.000 |
| 10 მან. | 10.000 | 100.000 |
| ს ულ | 500.000 | 450.000 |

მოგებიანი და არამოგებიანი ბილეთების გაშლასა და ერთმანეთში არევას ახდენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული კომისია, რომელიც ამ სამუშაოს მკაცრი საიდუმლოებით ასრულებს.

6. მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიის ბილეთების გაყიდვას აწარმოებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემისა და ცეკავშირის წიგნის მაღაზიები და კიოსკები, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით — რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სხვა სამინისტროებისა და უწყებათა წიგნის მაღაზიები და კიოსკები, წიგნის დამტარებლები და მოწვეული პირები, რომლებსაც ნება ეძლევათ, გაყიდონ ლატარიის ბილეთები წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ლატარიის ბილეთების გაყიდვა წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციების სხვა მუშაკთა მიერ (გარდა რწმუნებული პირებისა) ნებადართული არ არის. ლატარიის ბილეთებს აღნიშნული ორგანიზაციების მუშაკები თავიანთ ძირითად სამუშაოს შესრულებასთან ერთად ყიდიან.

ლატარიის ბილეთების გამყიდველ პირებს მიეცემათ ფულადი ჯილდო გაყიდული ბილეთების თანხიდან 2 პროცენტის ოდენობით.

7. იმ პირთა წახალისების მიზნით, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ წიგნის ლატარიის ჩატარებაში, დგება პრემიალური ფონდი გაყიდული ბილეთების საერთო თანხიდან 1 პროცენტის ოდენობით.

8. ლატარიის ბილეთების გავრცელება წარმოებს ნებაყოფლობითი პრინციპის მკაცრი დაცვით, მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლისა და ბილეთების გაყიდვის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე.

9. რესპუბლიკის მუდმივმოქმედი წიგნის ლატარიის მოგებათა განაღდებას აწარმოებენ წიგნის მაღაზიები და კიოსკები, რომლებშიც იყიდება ლატარიის ბილეთები. მოგებათა ანაზღაურება შეიძლება წიგნით და წიგნის მაღაზიაში არსებული ასორტიმენტის სხვა საქონლითაც, რომელსაც შეარჩევს მოგებიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილეთის პატრონი (ბროშურებით, ალბომებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინოების მასალებით, ჩარჩოიანი სურათებით, რეპროდუქციებით, ესტამპებით, ღია ბარათებით, საკოლექციო მარკებითა და სხვა საქონლით). ამასთან მოგების შეცვლა ფულით, მთლიანად ან თუნდაც ნაწილობრივ, ნებადართული არ არის.

თუ მოგებიან ბილეთის პატრონის მიერ შერჩეული წიგნებისა და სხვა საქონლის ღირებულება აღემატება მოგების თანხას, დამატებით თანხა გადაიხდება ნაღდი ფულით.

10. ლატარიის ბილეთის წარდგენა მოგების გასანაღდებლად შეიძლება ბილეთზე აღნიშნულ დროში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს.

---

## 10 სოფლის მეურნეობაში ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების შესახებ

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების და სოფლის მეურნეობაში ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განხორციელება და მათი სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურება რკინიგზის სადგურებში.

ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“:

ა) შექმნას 1970 წელს სოფლად კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურებისათვის „ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო ქვეგანაყოფები, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებენ;

ბ) გარდაქმნას ახლად შექმნილი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელობის გასაწევად გაერთიანების ცენტრალური აპარატის ტრანსპორტის განყოფილება ტრანსპორტის სამმართველოდ 18 ერთეული შტატით, გაადიდოს ამასთან დაკავშირებით ცენტრალური აპარატის შტატი 14 ერთეულით, რომელთა ხელფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის თვიური ფონდი განისაზღვროს 1862 მანეთით შრომის იმ გეგმის ფარგლებში, რაც გაერთიანებას დაუმტკიცდა 1970 წლისათვის;

გ) მოაწყოს ორი სარაიონთაშორისო ნომრიანი ავტოკოლონა, რომელთაგან თითოეულის ავტომობილების რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები. 1969 წელს დამატებით გამოყოფილი სატვირთო ავტომობილების ხარჯზე და შემდეგში ცენტრალიზებული ტვირთზიდვისათვის სატვირთო ავტომობილების გამოყოფის კვალობაზე შექმნას ახალი სარაიონთაშორისო ავტოკოლონები „საქსოფლტექნიკასთან“, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. 10 დღის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დაზუსტებული მოცულობა და 1970 წლისათვის დამატებით საჭირო ხელფასის ფონდის გაანგარიშება.

3. შეუნარჩუნდეთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებს სოფლის მეურნეობისათვის ტვირთზიდვის განხორციელება, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 ოქტომბრის № 516 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1970 წლიდან უზრუნველყოს სოფლის მეურნეობისათვის ტვირთზიდვის იმ მოცულობის განაწილება, რომელსაც ასრულებენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სატრანსპორტო საწარმოები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საავტომობილო ტრანსპორტი.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში კაპიტალდაბანდებათა გამოყოფა ავტოკოლონების საწარმოო-ტექნიკური ბაზის მშენებლობისა და გაფართოებისათვის.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია, რომ:

„ტრანსსოფლტექნიკის“ სატრანსპორტო საწარმოების შემადგენლობაში შეიქმნება ავტოკოლონები, რომელთაგან თითოეულში იქნება სულ ცოტა 100 სატვირთო ავტომობილი;

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებით „ტრანსსოფლტექნიკის“ ავტოკოლონები საჭირო შემთხვევებში შეიძლება გაიგზავნოს ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში მოსავლის ასაღებად და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასამზადებლად, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის სარესპუბლიკათაშორისო გადაზიდვის განსახორციელებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა გაითვალისწინოს 1970 წლის გეგმის პროექტში, რომ გამოიყოს „სოფლის მეურნეობის“ დარგის ხარჯზე „საკსოფლტექნიკის“ განკარგულებაში 25 ათასი სატვირთო ავტომობილი „ტრანსსოფლტექნიკის“ ავტოკოლონების დასაკომპლექტებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი. 1970 წ. 15 იანვარი. № 27.

## II საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სტრუქტურა, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან, დანართის თანახმად.

2. განისაზღვროს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი 187 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით 25.176 მანეთით.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მოწყობასთან დაკავშირებით, გადაეცეს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ ხილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო ინსპექციის 29 საშტატო ერთეული და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და საკოლმეურნეო პროდუქციის გასაღების კონტროლის სამმართველოს 8 საშტატო ერთეული და 1110 მან. ხელფასის თვიური ფონდი.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, ვიდრე გადაწყდებოდეს საკითხი ამ სამინისტროს ცენტრალური აპარატის, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, სასოფლო საბჭოების მქონე ქალაქ ტყიბულსა და ჭიათურაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების შენახვის წყაროების შესახებ, დააკომპლექტოს საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს შტატი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის თანამდებობრივი განაკვეთების

ეროვნული ბიბლიოთეკა

(15130 მანეთი) და მისთვის ამ დადგენილებით გადაცემული საშტატო ერთეულებისა და ხელფასის თვიური ფონდის მიხედვით.

3. შემცირდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და საკოლმეურნეო პროდუქციის გასაღების კონტროლის სამმართველოს მუშაკებისათვის დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ფონდი 130 მანეთით, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ ხილისა და ბოსტნეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციისა—30 მანეთით და გადაეცეს ეს ფონდი საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს.

4. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს აპარატის და მისი ადგილობრივი ორგანოების შესანახი წყაროს დადგენის შემდეგ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმ ზღვრულ ასიგნებათა მოცულობაში ცვლილებების შესატანად, რომლებიც გამოიყოფა საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ სამართველო აპარატის შესანახად.

5. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვროს 11 კაცით.

6. საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს განსახილველად პროექტი სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან შეთანხმებული დებულებისა სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 19 იანვარი, № 30.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 19 იანვრის № 30
დადგენილების დანართი

## საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა

1. ხელმძღვანელობა.

2. მარცვლეული და ტექნიკური კულტურების დამზადების სახელმწიფო ინსპექცია (მთავარი სამმართველოს უფლებებით) სახელმწიფო ინსპექტორების ჯგუფებიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების სახელმწიფო ინსპექცია (მთავარი სამმართველოს უფლებებით) სახელმწიფო ინსპექტორების ჯგუფებიანად.

4. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო ინსპექცია (მთავარ სამმართველოს უფლებებით) სახელმწიფო ინსპექტორთა ჯგუფებიანად.

5. სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია (მთავარი სამმართველოს უფლებებით) დარგობრივი ინსპექციებითა და სახელმწიფო ინსპექტორებიანად (პურის სახელმწიფო ინსპექცია, ტექნიკური კულტურების ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია, ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია, მეცხოველეობის პროდუქტებისა და მეცხოველეობის ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია).

6. საელევატორო მრეწველობის სამმართველო მეთესლეობის განყოფილებიანად.

7. პურფურაჟის მომარაგებისა და პურის სახელმწიფო რეზერვის სამმართველო.

8. საფქვავი მრეწველობის სამმართველო.

9. კომბინირებული საკვების მრეწველობის სამმართველო ხარისხის განყოფილებითა და ექსპლოატაციის განყოფილებიანად.

10. კაპიტალური მშენებლობის სამმართველო საგეგმო განყოფილებით და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილებიანად.

11. ტექნიკური განყოფილება.

12. საგეგმო-ეკონომიური სამმართველო (მთავარი სამმართველოს უფლებებით) საფინანსო განყოფილებითა და აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებიანად.

13. ცენტრალური ბუღალტერია (სამმართველოს უფლებებით).

14. სარევიზიო განყოფილება.

15. სატრანსპორტო განყოფილება.

16. კადრების განყოფილება.

17. პირველი განყოფილება.

18. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

სამინისტროსთან არსებობენ:

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორა,
ბელლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო,
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო.
სარემონტო-სამშენებლო სამმართველო,
ტარის სარემონტო სახელოსნო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12 საექსპლოატაციოდ გასაცემი საწარმოების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ხანგრძლივობის ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს დააწესონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის შემუშავების დროს საექსპლოატაციოდ გადასაცემ საწარმოებში (საამქროებში) პროდუქციის წარმოების მოცულობის დავალებანი, რომლებიც საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების სტადიაში იმყოფებიან, თანახმად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1969 წლის 17 ოქტომბრის № 46 დადგენილებისა „საექსპლოატაციოდ გადასაცემი საწარმოების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ხანგრძლივობის ნორმების შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ხანგრძლივობის ნორმები რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობის საექსპლოატაციოდ გადასაცემი საწარმოებისა, საამქროებისა და დანადგარებისათვის და დაამტკიცოს ეს ნორმები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

შემდგომ იხელმძღვანელოს აღნიშნული ნორმებით ამ დადგენილების 1 პუნქტის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს იმ საწარმოების, საამქროებისა და ნაგებობებისათვის საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ნორმები, რომლებიც გადაცემულია საექსპლოატაციოდ, მაგრამ არ აუთვისებიათ საპროექტო სიმძლავრენი, აგრეთვე 1970 წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტებისათვის, რომელთა საპროექტო სიმძლავრის ათვისების ხანგრძლივობის ნორმები დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 1969 წლის 17 ოქტომბრის № 46 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 19 იანვარი, № 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 615 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნა და ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 615 დადგენილების მე-2 და მე-4 პუნქტები შ. ნ. დადიანის ნაწარმოებებზე საავტორო უფლების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადების ნაწილში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს მისცეს შ. ნ. დადიანის კანონიერ მემკვიდრეებს მწერლის იმ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის მათი კუთვნილი წილი, რომლებიც გამოქვეყნდა 1959 წლის 25 ივლისის შემდეგ, საავტორო უფლების გამოსყიდვის თანხის დაქვითვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 19 იანვარი, № 34.

## 14 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და მისი გაუმჯობესების მიზნით და „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 დეკემბრის № 963 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ეწევიან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებთან ერთად, შეიმუშაონ და 1970 წლის 1 სექტემბრამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმების პროექტები, გაითვალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწინონ ამ პროექტებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ნელოვანი გაუმჯობესება, კერძოდ:

— მოაწყონ დიდ ქალაქებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მექანიზებული საწარმოები, რომლებიც დასპეციალდებიან მომსახურების ცალკეულ სახეობათა შესრულებაზე და ექნებათ სტაციონარული და მოძრავი მიმღები პუნქტების, წვრილმანი და სასწრაფო სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ატელიეებისა და სახელოსნოების ფართო ქსელი;

— შექმნან საშუალო და მცირე ქალაქებში, საკურორტო ადგილებში, მუშათა დაბებში, რაიონულ ცენტრებსა და დიდ სოფლებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური საწარმოები და მიმღები პუნქტების საჭირო ქსელი;

— მოაწყონ სოფლის დასახლებულ პუნქტებში შეკვეთების მიღება ყველა სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, რაც სრულდება ადგილებზე ან ასრულებენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში განლაგებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სპეციალიზებული საწარმოები და კომბინატები;

შექმნან ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და კურორტებზე, სადაც ეს საჭიროა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ბიუროები ყოველგვარი წვრილმანი სამეურნეო მომსახურების გასაწევად, როგორიცაა ბინებში ყოველგვარი სახის მცირე სარემონტო სამუშაოები, ბინების დალაგება, ნაყიდი საგნებისა და ამანათების მიტანა, მოსახლეობისაგან შეკვეთების მიღება დატვირთვა-გადმოტვირთვის და სატრანსპორტო სამუშაოთა შესრულებაზე, ბავშვთა მოვლა და სხვა;

— შექმნან საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული საწარმოები, რომლებიც ეწევიან:

ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მანქანების შეკეთებას, მცირე მექანიზაციის საშუალებების, მარტივი მექანიზმებისა და მოწყობილობათა დამზადებას, ამასთან გაითვალისწინონ ტექნოლოგიური მოწყობილობის გამართვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გამსვლელი ბრიგადების მოწყობა ამ საწარმოებთან;

სამაცივრო აგრეგატებისა და საოჯახო მაცივრების კომპრესორების, ელექტროსაყოფაცხოვრებო მანქანების (სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების, იატაკსაწმენდი და სხვა მანქანების) ელექტროძრავების კაპიტალურ-აღდგენითს შეკეთებას, სატელევიზიო კინესკოპებისა და საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების სხვა კვანძების აღდგენას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარდგენილი მასალები და 1970 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი წინადადებანი მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ 1970 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 ივლისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

იმის შესახებ, რომ შემდგომ თავმოყრილ იქნეს ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოები, განსაკუთრებით სამრეცხაოები, აბანოები, საპარიკმახეროები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გამგებლობაში და შეიქმნეს რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო სპეციალიზებული სამეურნეო ანგარიშის საწარმოო გაერთიანებანი (ფირმები) მომსახურების სახეობათა მიხედვით;

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და „მთავარმომარაგებასთან" ერთად—იმის შესახებ, რომ მოეწყოს წვრილსაბითუმო მაღაზიები ან ქსოვილებისა და დამხმარე მასალების, ფურნიტურის, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების სათადარიგო ნაწილების, ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოებისათვის საჭირო ინსტრუმენტის დამხარისხებელი ბაზები, ამასთან დაეკისროს მათ აგრეთვე ჩამოთვლილი პროდუქციის საკომისიო ვაჭრობა, რაც ჭარბად მოიპოვება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ საწარმოებში.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ეწევიან, გაითვალისწინონ 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობისა და რეალიზაციის გადიდება 1975 წელს მთლიანად რესპუბლიკაში სულ ცოტა 2-2,5-ჯერ, 1970 წელთან შედარებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1971-1975 წლების გეგმის პროექტში 1200 მოწაფის ადგილიანი სამი პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის და მათთან საერთო საცხოვრებლების მშენებლობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ბაზაზე (მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების საწარმოების ჩათვლით), იმ ანგარიშით, რომ ერთი მათგანი გადაეცეს საექსპლოატაციოდ 1971 წელს, მეორე — 1972 წელს და მესამე — 1974 წელს.

5. დაევალოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მუშაკთა მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას სასწავლო კომბინატებში და კურსებზე წარმოებას მოწყვეტით, დადონ იმ პირებთან, ვინც ასეთ სწავლებას გადის, ხელშეკრულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მხარეთა შესაბამის ვალდებულებებს, კერძოდ, მოსწავლის ვალდებულებას — იმუშაოს ამ საწარმოში ან ორგანიზაციაში სულ ცოტა ორ წელიწადს მაინც საკვალიფიკაციო თანრიგის მიკუთვნების შემდეგ.

დაწესდეს, რომ ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს წელიწადნახევრამდე ვადიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები საყოფაცხოვრებო მომსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების პროფესიების მიხედვით, მოვალენი არიან იმუშაონ მოსახლეობის სოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში სათანადო ორგანოების საგზურებით არანაკლებ ორი წლისა, ხოლო იმ პირებმა, ვინც დაამთავრა სწავლების უფრო ხანგრძლივვადიანი სასწავლებლები — არანაკლებ სამი წლისა.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად განიხილონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ყოფაცხოვრების სამსახურისათვის სპეციალისტთა მომზადების საკითხი, ამასთან იქონიონ მხედველობაში იმ სპეციალობათა რაოდენობის გაფართოება, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს სპეციალისტთა მომზადება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, და 1970 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკითხის შესათანხმებლად სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან.

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საყოფაცხოვრებო მომსახურების ზარალიანობის ლიკვიდაცია (გეგმიან-საზარალო საწარმოებში — მისი შემცირება) და მისი რენტაბელობის ამაღლება, პირველ რიგში სამუშაოთა მექანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვის, ცვლადობის გადიდების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, გამომუშავების მოძველებული ნორმებისა და მასალების ხარჯვის ნორმების გადასინჯვის, ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციის, ატელიეებისა და სახელოსნოების თანრიგობის ამაღლების (კვალიფიციური ოსტატებით მათი დაკომპლექტების, შეკვეთების შესრულების ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების კულტურის ამაღლების კვალობაზე) და საყოფაცხოვრებო მომსახურების თვითღირებულების შესამცირებლად შინასამეურნეო რეზერვების მობილიზაციისათვის სხვა ზომების მიღების ხარჯზე. აგრეთვე საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მოაწესრიგოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ სახეობათა მოქმედი ფასები და ტარიფები.

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ეწევიან:

ა) მიიღონ ზომები, რათა გაძლიერდეს კონტროლი საქვითარო მეურნეობის სწორად გაძღოლისა და იმისადმი, რომ მოსახლეობას საყოფაცხოვრებო მომსახურების საფასური გადახდეს პრეისკურანტების შესაბამისად, აგრეთვე გადაჭრით აღკვეთონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში მომსახურების შესრულება ქვითრების მიუცემლად (იმ საწარმოების გარდა, რომლებშიაც შემოღებულია სისტემა მომსახურებისა ქვითრების მიუცემლად);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1970 წლის 1 აპრილამდე დააწესონ იმ საწარმოებისა და მომსახურების სახეობათა ნუსხა, რომლებისთვისაც შემოღებული იქნება მოსახლეობის მომსახურება ქვითრების მიუცემლად და შეათანხმონ იგი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან;

გ) უზრუნველყონ მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება, მომსახურების ისეთი ახალი ფორმებისა და სახეობათა განვითარება, როგორიცაა: მომსახურების შეკვეთების შინ მიღება ტელეფონით, შეკვეთების სასწრაფოდ შესრულება ოჯახში, საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების შეკეთება აბონემენტებით, ხელსაწყოების გაქირავება უწესივრო ხელსაწყოების რემონტის დროს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების უწესივრო საგნების გამოცვლა შეკეთებულ საგნებზე და სხვა მომსახურების გაწევა;

დ) უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოების მუშაობა და შემკვეთთა შინ მომსახურება მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელ დღეებსა და საათებში, შეკვეთების შესრულების ვადების მტკიცედ დაცვა, აგრეთვე დააწესონ შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოების მუშაკთა სამუშაო დროის რეჟიმი, მომსახურებაზე არსებული მოთხოვნილების სეზონური გადიდების ან შემცირების გათვალისწინებით, აგრეთვე დაიცვან (საანგარიშსწორებო პერიოდში) სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა, რაც დაწესებულია მოქმედი კანონმდებლობით.

9. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ განიხილოს საკითხი, რომ უფრო ფართოდ გავრცელდეს და შემდგომ გაუმჯობესდეს სისტემა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა მუშაკის კვალიფიკაციის, შეკვეთების შესრულების რაოდენობისა და ხარისხის, მომსახურების კულტურის კვალობაზე ამონაგების პროცენტულად, და არსებული გამოცდილების გათვალისწინებით შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით საჭირო ცვლილებანი ამონაგების პროცენტულად მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოქმედ პირობებში, იმ მუშაკთა ჩათვლით, რომელთა შრომის ანაზღაურების პირობები დაწესებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებით.

10. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1969 წლის 19 დეკემბრის № 963 დადგენილებით:

ა) **დააწესა, რომ:**

— 1970 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, იმ საშენი ხე-ტყის მასალის, შეწებილი და გარანდული ფანერის, მერქან-ბოჭკოვანი და მერქან-ბურბუშელას ფილების, შიფერის, რბილი სახურავის და წვრილხარისხული ფოლადის მიცემა (მიწოდება) მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც განკუთვნილია ნაკეთობათა წარმოებისა და მოსახლეობის შეკვეთებით სარემონტო და სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, იწარმოებს საცალო ფასებში სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით;

— ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოების საქმიანობის შეფასება მოხდება მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით;

— ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ყოფაცხოვრების სამსახურის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში;

ბ) ნება დართო:

— მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს შეუდგნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ საწარმოების მშენებლობას დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, რომელთა მშენებლობის ხანგრძლივობა მოქმედი ნორმების მიხედვით არ აღემატება ერთ წელიწადს (ობიექტების მშენებლობისა და წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე სამუშაოთა შესრულების გარდა), იმ პირობით, თუ მშენებლობის დაწყების დროისათვის მოიპოვება მშენებლობის დასაფინანსებლად საჭირო სახსრები ამ ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არანაკლებ 50 პროცენტის ოდენობით და დამტკიცებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების დირექტორებს — შემოიღონ, 1970 წლიდან დაწყებული, მცირე სახელოსნოების (სადაც მომუშავეთა რიცხვი 3 კაცამდეა) მუშაკთა შრომის ანაზღაურება სახელშეკრულებო საწყისებზე, და დააწესა, რომ ის მუშაკები, რომელთა შრომის ანაზღაურება სახელშეკრულებო საწყისებზე წარმოებს, მოვალენი არიან შეასრულონ სამუშაოები პრეისკურანტებით გათვალისწინებულ ფასებში;

აღნიშნულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესს და მათი მუშაობის პირობებს განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით;

გ) დაავალა:

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს:

გააძლიეროს მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა პრეისკურანტების უნიფიკაციისა და მოკავშირე რესპუბლიკებში მოქმედი საყოფაცხოვრებო მომსახურების ფასებისა და ტარიფების გაუმჯობესებისადმი და უზრუნველყოს ამ მუშაობის კოორდინაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1970 წლის პირველ ნახევარში მეთოდური მითითებანი, თუ რა წესით უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს მომსახურების ის ფასები, რასაც საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები უწევენ მოსახლეობას, აგრეთვე დაადგინოს 1970-1972 წლებში პრეისკურანტების უნიფიკაციის ღონისძიებათა განხორციელების თანმიმდევრობა და წესი;

— სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გადასინჯოს 1970 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ამასთან გაითვალისწინოს ამ ფორმებში აღნიშნული საწარმოების საქმიანობის მოცულობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლები და გაათავისუფლოს ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოები ანგარიშგების შედგენისაგან ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც არ ახასიათებენ აღნიშნული საწარმოების ძირითად საქმიანობას;

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და ამ კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, შეიმუშაოს 1970 წელს ფასების ტერიტორიული შესწორებითი კოეფიციენტები (ინდექსები) სხვადასხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის გადასაანგარიშებლად შეპირისპირებად მაჩვენებლებში, აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოეწყოს იმისადმი სტატისტიკური მეთვალყურეობა, თუ რამდენად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე;

დ) დააკისრა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს გაატაროს ქვეყანაში ერთიანი პოლიტიკურ-ტექნიკური პოლიტიკა კოლექტიური და ინდივიდუალური სარგებლობის მიმღები სატელევიზიო ანტენების, გამაძლიერებელი, განმანაწილებელი, შემთანხმებელი და მათი სხვა მოწყობილობის შემუშავების დარგში და დააწესა, რომ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი წარმოადგენს მიმღები სატელევიზიო ანტენებისა და მათი მოწყობილობის შემუშავებისა და გაუმჯობესების მთავარ ორგანიზაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 20 იანვარი, № 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 15 საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის ზომა-კლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში რამდენადმე გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ და საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერის წესების დარღვევის თავიდან აცილებისათვის. გაუმჯობესდა საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ურთიერთმოქმედება ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სასამართლო ორგანოები უფრო მკაცრად უდგებიან თევზის მარაგის მტაცებლური მოსპობის ფაქტების შეფასებას. გაძლიერდა პროკურატურის ზედამხედველობა მოქალაქეთა და თანამდებობის პირთა მიერ თევზდაცვის კანონმდებლობის შესრულებისადმი.

ამასთან ერთად, ჯერ კიდევ გრძელდება ძვირფასი სარეწაო ჯიშების თევზის მტაცებლური მოსპობა, ბრაკონიერობა და თევზჭერის წესების დარღვევა, თევზის მტაცებლობა სახელმწიფო და საკოლმეურნეო დანაჭერებიდან, აგრეთვე თევზის სპეკულაცია, დადგენილია ფაქტები, როცა სახელმწიფო და საკოლმეურნეო ჭერის ცალკეული მებადურები თვითონ სჩადიან ბრაკონიერობას, არღვევენ თევზჭერის წესებს, ხოლო თევზდაცვის ორგანოები არ იჩენენ მათდამი სათანადო მომთხოვნელობას.

გრძელდება რესპუბლიკის თევზსამეურნეო წყალსატევების გაბინძურება სამრეწველო და კომუნალური საწარმოების გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს თევზის მეურნეობას.

ენერგეტიკული და საირიგაციო სისტემების მოქმედ წყალსატევებზე თევზსაცავ მოწყობილობათა უქონლობა დიდ ზიანს აყენებს თევზის მარაგს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 დეკემბრის № 940 დადგენილება „სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გაეგზავნოს ცნობად და სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ სამმართველოს, ცეკავშირს, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს, საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს, მონკავშირს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს

2. დაევალოს საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს:

— განამტკიცოს თევზდაცვის ორგანოები და გააუმჯობესოს მათი საქმიანობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მოქალაქეებმა და თევზმომპოვებელი ორგანიზაციების მებადურებმა არ დაარღვიონ თევზჭერის წესები;

— მთლიანად გამოიყენოს ის უფლებები, რაც მინიჭებული აქვთ თევზდაცვის ორგანოებს ბრაკონიერობის წინააღმდეგ და თევზის მარაგის დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამასთან გამოიყენოს დამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული ზემოქმედების მკაცრი ზომები, უზრუნველყოს ჯარიმების დროზე გადახდევინება, მიაღწიოს იმ მებადურების მოხსნას სარეწიდან, რომლებიც უხეშად არღვევენ თევზჭერის წესებს, და გააუქმოს თევზჭერის უბნების სარგებლობის შესახებ დადებული ხელშეკრულებაც კი, პასუხისგებაში მისცეს თანამდებობის პირები, რომლებიც წაყრუებას გამოიჩენენ დამრღვევთა მიმართ;

— გააძლიეროს თართისა და სვიის დაცვა, განსაკუთრებით აკრძალული ზონის რაიონებში (ფოთი-ოჩამჩირე) და მდინარე რიონში (სამტრედიამდე), ამასთან არ დაუშვას ამ ადგილებში თევზმჭერთა ბრიგადების განლაგება. განსაკუთრებით დაიცვას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მდინარეები, სადაც ხდება შავი ზღვის ორაგულის ტოფობა და გასუქება. უზრუნველყოს, რომ თევზდაცვის სახელმწიფო ინსპექტორები დაესწრნენ ჩადგმული ბადეების ყოველ შემოწმებას, მტკიცედ აღრიცხონ მოზარდი ორაგულის, თართის ჭერა და მათი გაშვება ზღვაში ცოცხალი სახით;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად აწარმოოს უფრო ეფექტიანი ბრძოლა სამრეწველო და კომუნალური საწარმოების ჩამდინარე გაუწმენდავი წყლებით თევზსამეურნეო წყალსატევების გაბინძურებასთან;

— არ დაუშვას წყლის აღება თევზსამეურნეო წყალსატევებიდან საწარმოების საჭიროებისათვის და სარწყავად თევზდაცვის ორგანოებთან შეუთანხმებლად და სპეციალური ხელსაწყოების დაუყენებლად, რომლებიც დაიცავენ თევზს წყალსაღებ ნაგებობებში მოყოლისაგან.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

— სისტემატურად განიხილონ თევზდაცვის ორგანოების მუშაობის საკითხები და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მათ ბრაკონიერობისა და თევზდაცვის კანონმდებლობის დარღვევის გადაჭრით აღკვეთაში;

— დახმარება გაუწიონ თევზდაცვის ორგანოებს თევზდაცვის ინსპექციებისათვის საჭირო მუშაკთა შერჩევაში, თავიდან მოიშორონ ისეთი პირები, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთაც არ შესწევთ თევზის რესურსების დაცვაში სათანადო წესრიგის დამყარების უნარი და რომლებიც თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით არ შეეფერებიან თანამდებობას;

— ყველგან აკრძალონ ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის გაყიდვა კერძო პირების მიერ, რომლის უკანონოდ ჭერისა და მოსპობისათვის გათვალისწინებულია მიყენებული ზარალის გადახდევინება მოქალაქეებისათვის (დამტკიცებული ნიხრის მიხედვით), აგრეთვე აკრძალონ ხიზილალისა და ამ სახეობათა თევზისაგან მიღებული სხვა პროდუქციის გაყიდვა;

— შემოიღონ 1970 წლიდან მოქალაქეთა კუთვნილი სანაოსნო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაცია, რომლებსაც იყენებენ სპორტული და სამოყვარულო თევზჭერისათვის, ამასთან გაუკეთონ მათ ქიმის ნიშნები და განსაზღვრონ აღნიშნულ სანაოსნო საშუალებათა მოტორების სიმძლავრე 12 ცხენის ძალამდე;

— თევზდაცვის ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ თევზსამეურნეო წყალსატევებში მცირე სანაოსნო საშუალებათა ცურვის წესები, ამასთან გაითვალისწინონ სანაოსნო საშუალებათა მოსარგებლეების პასუხისმგებლობა მეთევზეობის წესების დარღვევისათვის;

— გააფართოონ მოსახლეობაში მასობრივი განმარტებითი მუშაობა თევზის მარაგის დაცვის საკითხებზე და თევზჭერის მოქმედი წესების განმარტება, გამოიყენონ ამისათვის პრესა, კინო, რადიო, სალექციო პროპაგანდა და თვალსაჩინო აგიტაცია;

— დაეხმარონ თევზდაცვის ორგანოებს მოიზიდონ თევზის მარაგის დაცვაში საზოგადოებრიობა, კერძოდ, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, აგრეთვე მონადირეთა და მებადურთა ნებაყოფლობითი საზოგადოებების კოლექტივები;

მიუჩინონ თევზდაცვის ორგანოებს ადგილები ნავმისაბმელებთან და მოედნები, სადაც უნდა მოთავსდეს თევზჭერის წესების დამრღვევებისათვის ჩამორთმეული სანაოსნო საშუალებანი და სხვა სახეობათა ტრანსპორტი.

4. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა სამმართველომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველომ, საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველომ შეიმუშაონ ღონისძიებანი რესპუბლიკის წყალსატევების კომპლექსურად გამოყენებისათვის და გაითვალისწინონ ყველა დაინტერესებული უწყების საქმიანობა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დასავლეთ საქართველოს მდინარეებში (რიონი, კოდორი, გუმისთა, ბზიფი, შავწყალა და სხვ.) მობინადრე ორაგულისა და თართის უნიკალურ თევზსამეურნეო მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოთ სამინისტროებისა და უწყებების საპროექტო ინსტიტუტებს საპროექტო მოცემულობათა შედგენისას გაითვალისწინონ წყალსაღებ ნაგებობათა მოწყობა თევზის მეურნეობის ინტერესების შესაბამისად და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის მარაგის დაცვა-შენახვას.

6. დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გააძლიეროს დახმარება რესპუბლიკის თევზდაცვის ორგანოებისადმი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ქმედითს ბრძოლაში.

7. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ მიიღოს ზომები, რათა მოეწყოს თევზსაცავი ნაგებობანი საირიგაციო სისტემების მოქმედ წყალსაღებებში, ამასთან არ დაუშვას ახალი წყალსაღებების გადაცემა საექსპლოატაციოდ თევზსაცავ ღონისძიებათა განუხორციელებლად.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილონ 1970 წელს თევზდაცვის ორგანოების კეთილმოწყობილ სადგომებში დაბინავების საკითხი, აგრეთვე გამოუყონ ბინები თევზდაცვის ინსპექტორებს, რომლებიც ამას საჭიროებენ.

9. სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში თევზის ძვირფას სახეობათა უკანონო (თევზჭერის წესებისა და თევზის მარაგის დაცვის დებულების დარღვევა) ჭერით ან მოსპობით მოქალაქეთა მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების გამოსაანგარიშებელ იმ ნიხრების დამატებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, დამტკიცდეს ნიხრი თითოეული უკანონოდ დაჭერილი ან მოსპობილი თევზისათვის (წონისა და ზომის მიუხედავად) საზღაურის ოდენობის გამოსაანგარიშებლად: ქამბალა-კალკანი, ჭერეხი — 10 მანეთი, კეფალი — 3 მანეთი, ხრამული, ჭანარი, მურწა, დიდი ზომის სტავრიდულა — 1 მანეთი.

10. ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ გააძლიეროონ კონტროლი, რომ საქვეუწყებო სავაჭრო ორგანიზაციებმა მტკიცედ შეასრულონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დადგენილების მე-9 პუნქტი, რომელიც კრძალავს თევზის ჭერის ისეთი იარაღებისა და ბადემასალების გაყიდვას, რომელთა გამოყენება აკრძალულია საქართველოს სსრ წყალსატევებში თევზჭერის წესებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 22 იანვარი, № 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
# დადგენილება № 940

**1969 წლის 10 დეკემბერი**

მოსკოვი, კრემლი

**სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ**

სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს განამტკიცოს თევზდაცვის ორგანოები და გააუმჯობესოს მათი საქმიანობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის თავიდან აცილებისათვის.

2. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

გააძლიერონ დახმარება თევზდაცვის ორგანოებისადმი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის და თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების სხვა დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის, აგრეთვე მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობის ორგანიზაციის საქმეში;

შემოიღონ 1970 წლიდან მოქალაქეთა კუთვნილ სანაოსნო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია ისე, რომ გაუკეთდეს მათ ქიმის ნიშნები, აგრეთვე დააწესონ, სადაც ეს საჭიროა თევზის მარაგის კვლავწარმოებისა და დაცვის მიზნით, აღნიშნულ სანაოსნო საშუალებათა მოტორების სიმძლავრის შეზღუდვა და ამ საშუალებათა სარგებლობის წესი.

3. დამტკიცდეს ნიხრები იმ ზარალისათვის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს ძვირფას სახეობათა თევზის უკანონოდ (თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა) ჭერით ან მოსპობით სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში, დანართის თანახმად.

მოქალაქეთა მიერ მიყენებული ზარალისათვის გადახდევინების ოდენობას გამოიანგარიშებენ აღნიშნული ნიხრების მიხედვით თევზდაცვის ორგანოების თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციული წესით ჯარიმის დადების უფლება. გამოანგარიშებული თანხების გადახდევინება, ნებაყოფლობით გადახდაზე უარის თქმის შემთხვევაში, წარმოებს სასამართლო წესით თევზდაცვის ორგანოების სარჩელის მიხედვით.

დაწესდეს, რომ ზარალის ასანაზღაურებლად გადახდევინებული სახსრების 30 პროცენტი გადაირიცხება თევზდაცვის ორგანოების ინსპექტორებისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებრივი ინსპექტორების დაჯილდოების ფონდში, რომელიც შეიქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილების შესაბამისად, ხოლო დანარჩენი თანხა ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ენიჭებათ დაამტკიცონ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ნიხრი იმ ზარალის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის უკანონოდ ჭერით ან მოსპობით, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ დადგენილების დანართში.

4. აიკრძალოს ყველგან ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის გაყიდვა კერძო პირების მიერ, რომლის უკანონო ჭერისა და მოსპობისათვის გათვალისწინებულია მოქალაქეებისათვის მათ მიერ მიყენებული ზარალის გადახდევინება (დამტკიცებული ნიხრის მიხედვით), აგრეთვე ხიზილალისა და ამ სახეობათა თევზისაგან მიღებული სხვა პროდუქციის გაყიდვა.

5. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა" და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც საცალო სავაჭრო ქსელი აქვთ, გააძლიერონ იმისადმი კონტროლი, რომ საქვეუწყებო სავაჭრო ორგანიზაციებმა მტკიცედ შეასრულონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილების მე-8 პუნქტი, რომელიც კრძალავს თევზის საჭერი იარაღებისა და ბადემასალების გაყიდვას, რომელთა გამოყენება მოცემულ ადგილას აკრძალულია თევზჭერის წესებით.

6. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბრძოლის გაძლიერება თევზისა და წყლის სხვა მომპოვებელი რეწვის წინააღმდეგ, აგრეთვე დახმარების გაწევა თევზდაცვის ორგანოებისათვის თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების შესრულების საქმეში.

7. უფლება მიენიჭოთ თევზდაცვის ორგანოებს წარუდგინონ სარჩელი სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რათა გადახდეთ მათ სახელმწიფოს შემოსავალში სახსრები იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც თევზის მეურნეობას მოუვიდა თევზჭერის და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის შედეგად, ამასთან გამოიყენონ ეს სახსრები თევზის მარაგის კვლავწარმოების ღონისძიებებისათვის.

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით ზარალის გამოანგარიშების მეთოდიკა.

8. დაწესდეს, რომ თევზდაცვის ორგანოებს შეუძლიათ მიანიჭონ ინსპექტორების უფლებები თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შემდეგ მუშაკებს (მათი თანხმობით):

უბნის ინსპექტორების უფლებები — თევზდაცვის ორგანოების ფლოტის უფროსებს, კაპიტნებსა და მათ თანაშემწეებს, გემთმძღოლებს, სახაზო მექანიკოსებს, უფროს იხტიოლოგებს და მეთვალყურე იხტიოლოგებს;

უმცროსი ინსპექტორების უფლებები — თევზდაცვის ორგანოების უფროს მოტორისტებს, რადისტებს, მესაჭეებს, მატროსებსა და შოფრებს.

9. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ უფასოდ მიეცეთ თევზდაცვის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს (რომლებიც ინსპექტორების უფლებებით სარგებლობენ) და თევზდაცვის ორგანოების ინსპექტორებს ფორმის ტანსაცმელი განსხვავების ნიშნებიანად, ამასთან ამ ტანსაცმლის ღირებულება გაღებულ იქნეს თევზდაცვის ორგანოების საოპერაციო ხარჯების ხარჯთაღრიცხვით საერთო მომჭირნეობის ანგარიშში.

სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს თევზდაცვის ორგანოების მუშაკებისათვის ფორმის ტანსაცმლის, აგრეთვე განსხვავების ნიშნების მიცემის ნუსხა და ნორმები იმ ნუსხის, ნორმებისა და განსხვავების ნიშნების შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია თევზის მრეწველობის ფლოტის მუშაკებისათვის.

10. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1958 წ. № 16, მუხ. 127; 1963 წ. № 12, მუხ. 121; 1965 წ. № 24, მუხ. 205) დამტკიცებულ დებულებაში სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების შესახებ თანდართული ცვლილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 10 დეკემბრის № 940
დადგენილებით

# ცვლილებანი,

## რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 სექტემბრის № 1045 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში სსრ კავშირის წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და თევზჭერის რეგულირების შესახებ

1. მე-6 პუნქტის პირველი აბზაციდან გამოირიცხოს სიტყვები: „(თევზის გაყიდვის უფლების მიუცემლად)".

2. მე-11 პუნქტს დაემატოს ქვეპუნქტი „ო" შემდეგი რედაქციით:

„ო) ისეთ ძვირფას სახეობათა თევზის გაყიდვა კერძო პირების მიერ ყველგან, რომლის უკანონო ჭერისა და მოსპობისათვის გათვალისწინებულია მოქალაქეებისათვის მათ მიერ მიყენებული ზარალის გადახდევინება (დამტკიცებული ნიხრის მიხედვით), აგრეთვე ხიზილალისა და ამ სახეობათა თევზისაგან მიღებული სხვა პროდუქციისა").

3. მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ჩამოერთვას ამ დებულებისა და თევზჭერის წესების დამრღვევ პირებს საჭერი იარაღები, სანაოსნო და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, რომლებიც მათ აღმოაჩნდებათ, აგრეთვე უკანონოდ მოპოვებული თევზი და სხვა წყლის ცხოველნი და მცენარენი".

4. მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩამორთმეული საჭერი იარაღები, სანაოსნო და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი ინახება თევზდაცვის ორგანოების ბაზებში ან სხვა ადგილებში ამ ორგანოების შეხედულებისამებრ მანამდე, სანამ არ გადაწყდება საკითხი დამრღვევის პასუხისმგებლობისა ადმინისტრაციული და სასამართლო წესით".

5. მე-19 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. თევზდაცვის ორგანოების ინსპექტორების და საზოგადოებრივი ინსპექტორების დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამ დებულებისა და თევზჭერის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელშიაც გადაირიცხება:

იმ სახსრების 50 პროცენტი, რაც მიღებული იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებით კონფისკებული სანაოსნო და სხვა სატრანსპორტო საშუალებების და საჭერი იარაღების რეალიზაციისაგან და სასამართლო წესით გადახდევინებული ჯარიმებისაგან;

იმ სახსრების 30 პროცენტი, რაც მიღებული იქნება ჩამორთმეული თევზის რეალიზაციისაგან, ადმინისტრაციული წესით გადახდევინებული ჯარიმებისაგან, აგრეთვე იმ თანხებიდან, რომლებიც გადახდევინებულია იმ ზარალის ასანაზღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში ძვირფას სახეობათა თევზის უკანონო ჭერით ან მოსპობით".

6. მე-20 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. თევზდაცვის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკებს (რომლებიც ინსპექტორების უფლებებით სარგებლობენ) და თევზდაცვის ორგანოების ინსპექტორებს მიეცემათ უფასო ფორმის ტანსაცმელი განსხვავების ნიშნებით და მიენიჭება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იარაღის ტარების უფლება".

---

## 16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 ივლისის № 474 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენის წინადადება და იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლები დიღომი, კიკეთი და დაბა კოჯორი ამჟამად შედიან გარდაბნის რაიონში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 ივლისის № 474 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ნება დართოს დაბა კოჯრის და სოფლების დიღმისა და კიკეთის მკვიდრ მცხოვრებლებს, რომლებიც ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, საჭირო შემთხვევაში აწარმოონ ინდივიდუალური ბინათმშენებლობა საკუთარი ძალებით, ავარიული და მოძველებული სახლების აღებისა და მათ მაგივრად იმავე ნაკვეთებზე ახალი სახლების მშენებლობის ან არსებული სახლების გაფართოება-მიშენების, ან დაშენების გზით, იმ პირობით, რომ საცხოვრებელი ფართობი არ აღემატებოდეს 60 კვ. მეტრს.

2. დაწესდეს, რომ ახალი სახლების მშენებლობისა და არსებული სახლების გაფართოების პროექტებს ამტკიცებს გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი რაიონის არქიტექტორის წარდგინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წლის 22 იანვარი, № 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 10 დეკემბრის № 940
დადგენილების დანართი

# ნ ი ხ რ ი

## იმ ზარალის გადახდევინების ოდენობის გამოსაანგარიშებლად, რაც მოქალაქეებმა მიაყენეს სსრ კავშირის თევზსამეურნეო წყალსატევებში თევზის ძვირფას სახეობათა უკანონო ჭერით ან მოსპობით

| თევზის სახეობანი | გადახდევინების ოდენობა თითოეული უკანონოდ დაჭერილი ან მოსპობილი თევზისათვის (თევზის წონისა და ზომის მიუხედავად) მანეთობით |
|---|---|
| სვია, კალუგა | 100 |
| თართი, ტარაღანა, ფორეჯი, ნიჩაბცხვირა | 50 |
| თევზთეთრა, ორაგული, ჩრდ. ორაგული, ისიკ-ყულის კალმახი | 40 |
| წვერა, ნელმა | 20 |
| ჩავიჩა, ნერკა, კეტა, გორბუშა, სიმა, კიჟუჩი, მუქსუნი, ჩირი | 10 |
| კობრი, თეთრი და შავი ამური, სქელშუბლა, ცქვრინა | 5 |
| ვიმბა, ფარგა, კალმახი, ჭანარი, გველთევზა, ომული | 3 |
| სიგეული (სიგი, პელიადი, ჭაფალა, რიპუსი), კაპარჭინა, შამაია, კუტუმი, ტარანი, ნაფოტა | 2 |
| სალამურა | 1 |

**შენიშვნა:** თართისა და ორაგულის ხიზილალის უკანონოდ დამზადებით მიყენებული ზარალისათვის გადახდება თანხა დამზადებული ხიზილალის სამმაგი ღირებულების რაოდენობით უმაღლესი ხარისხის ხიზილალის მოქმედი საცალო ფასების მიხედვით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 17 საქართველოს სსრ წიფლნარ-წაბლნარი და თელნარი ტყის კორომების სამეურნეო სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ტყის ინსტიტუტის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ რესპუბლიკაში წიფლის, წაბლისა და თელის ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია სხვადასხვა სოკოვანი დაავადებით და ამ კორომების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ამავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაცემებით, ახმეტის, თელავის, თიანეთის, გაგრის, გულრიფშის, სოხუმის, ორჯონიკიძის, ქუთაისის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, მესტიის, მახარაძისა და ბათუმის სატყეო მეურნეობების წიფლნარებში სოკოვანი დაავადებით დაზიანება აღწევს ხეთა რიცხვის 5-7 პროცენტს, ხოლო მერქნის მასის მიხედვით 25-43 პროცენტს.

ასევე გულრიფშის, სოხუმისა და ქუთაისის სატყეო მეურნეობების წაბლნარების 19 პროცენტი დაზიანებულია სოკოვანი დაავადებით „ენდოტიათი", რის შედეგადაც ხეების 6,1 პროცენტი მთლიანად გამხმარია, ხოლო 6,3 პროცენტი ხმობის პროცესშია. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა რესპუბლიკის თელნარებში, რომლის დაახლოებით 80 პროცენტი დაზიანებულია ჰოლანდიური დაავადებით და უმეტესი ნაწილი მთლიანად გამხმარია.

წიფლნარ-წაბლნარებსა და თელნარებში გამოვლინებული არადამაკმაყოფილებელი სამეურნეო და სანიტარული მდგომარეობა იმის შედეგია, რომ წლების მანძილზე ამ ტყეებში საკმარისად არ ხორციელდებოდა ეფექტიანი სანიტარული და გამაჯანსაღებელი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებანი, მთლიანად არ იწმინდებოდა ბუნებრივი ნაყარისაგან ჩახერგილი კორომები, არ ხდებოდა მავნებლებით დაზიანებული და სოკოებით დაავადებული ხეების ჯეროვანი დამუშავება-სანიტარიზაცია ისე, როგორც ეს სსრ კავშირის ტყეებისათვის დადგენილი სანიტარული მინიმუმის წესებით იყო გათვალისწინებული.

ამასთან ერთად რესპუბლკის სატყეო მეურნეობები და სატყეო-სამრეწველო მეურნეობები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედი ტყის ჭრის წესების იმ მუხლების განხორციელებას, რომლებიც ითვალისწინებენ ტყით სარგებლობის დროს გამხმარი, მომაკვდავი, დაავადებული, გადაბერებული და მცირე შემატების მქონე ხეების პირველ რიგში მოჭრასა და გამოზიდვას.

ამას დიდად შეუშალა ხელი აგრეთვე რესპუბლიკის ტყეებში სატყეო-სამეურნეო მნიშვნელობის საავტომობილო გზების უქონლობამ და ამის შედეგად ძნელად მისადგომ ტყის მასივებში აუცილებელი სატყეო-სამეურნეო სამუშაოების შეუსრულებლობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის წიფლნარ-წაბლნარი და თელნარი ტყეების სამეურნეო-სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და ადგილობრივი სატყეო მეურნეობების პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულ იქნეს ტყეების გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა დროული და ხარისხიანი შესრულება, რისთვისაც:

ა) მკაცრი კონტროლი გაუწიონ საქართველოს ტყეებისათვის დადგენილი ჭრის წესების განუხრელად შესრულებას.

განსაკუთრებით წიფლნარ ტყეებში ტყესაკაფის გამოყოფისას პირველ რიგში მოსაჭრელად გამოყონ მექანიკურად დაზიანებული—გადატეხილი, წვერხმელი, დასუსტებული, სოკოებით დაავადებული, გადაბერებული ხეები, რომლებიც გამოირჩევიან ზრდის შენელებით, ტექნიკური თვისებების გაუარესებითა და დაავადებათა მიმართ ნაკლები მდგრადობით;

ბ) კატეგორიულად აკრძალონ ტყით სარგებლობის ისეთი პრაქტიკა, როდესაც ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციები მათთვის გამოყოფილ ტყესაკაფებში მოსაჭრელად გათვალისწინებული ხეებიდან ძირზე ტოვებენ გადაბერებულ, დაავადებულ და დაზიანებულ მცენარეებს;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტყეებში სანიტარული მინიმუმით გათვალისწინებულ წესების დაცვას, განახორციელონ სამუშაოები ტყეების ჩახერგილობის ლიკვიდაციისათვის და გააძლიერონ მომთხოვნელობა ხე-ტყის დამამზადებლების მიმართ — ტყესაკაფის დამუშავების ტექნოლოგიის ძთლიანად შესრულებისა და ტყის ჭრის პარალელურად ტყეკაფვის ნარჩენებისაგან გაწმენდის უზრუნველსაყოფად;

დ) მეჩხერი წიფლის, წაბლისა და თელის ტყეების უახლოეს წლებში აღდგენის უზრუნველსაყოფად შეიმუშაონ და განახორციელონ ამ ტყეებში ტყის კულტურებისა და ბუნებრივი განახლების ღონისძიებათა შესრულების საგრძნობლად გადიდებული მოცულობითი სამუშაოები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან და სათანადო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ხელუხლებელ და ჭრაგავლილ ტყეებში გადაბერებული და დაავადებული წიფლის, წაბლისა და თელის ხეების უახლოეს წლებში მოჭრისა და გამოზიდვისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა სახელმწიფო ტყეებში მოჭრილი და გამოტანილი ხე-ტყის გამოყენების საკითხი შეუთანხმოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განიხილონ ტყის დაავადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საკითხი და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სატყეო მეურნეობებს ტყეკორომებში სატყეო-სამეურნეო გამაჯანსაღებელი სამუშაოების განუხრელად შესრულებისა და საჭირო მუშახელის გამოყოფის საქმეში.

4. რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეებში ხე-ტყის თვითდამამზადებლების მაქსიმალურად შემცირებისა და ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1970 წლიდან ყოველწლიურად გადიდებული რაოდენობით გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ადგილობრივი ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის ხე-ტყის დამზადება იმ ანგარიშით, რომ 1975 წლიდან ამ ტყეებში მუშაობდეს მხოლოდ ორი ძირითადი ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაცია — ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი.

5. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს საკოლმეურნეო ტყეებში მოსაჭრელად გამოყოფილი ხე-ტყის ჭრა-დამზადება აწარმოონ თავიანთი ძალებით და არ დაუშვან ამ ტყეებში ხე-ტყის სხვა დამამზადებლების მუშაობა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ყოველწლიურად გაადიდონ რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეებში ახალი გზების მშენებლობის სამუშაოების მოცულობა და აწარმოონ არსებული გზების შეკეთება.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს წაბლის სოკოვანი და თელის ჰოლანდიური დაავადების წინააღმდეგ დასახოს და განახორციელოს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც რეკომენდებულია თბილისის ტყის ინსტიტუტისა და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მიერ.

8. დაევალოთ საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს და თბილისის ტყის ინსტიტუტს გააძლიერონ კვლევითი სამუშაოები ტყის სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ რადიკალურ საშუალებათა შესამუშავებლად და გადასცენ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით, საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის" ამიერკავკასიის საწარმომ 1970 წელს შეასრულოს საქართველოს წაბლნარი კოროომების კომპლექსური გამოკვლევა და დაადგინოს მათი სამეურნეო და პათოლოგიური მდგომარეობა, აგრეთვე არსებული კულტურების ბუნებრივი განახლებისა და თესლმსხმოიარობის შესწავლა და შეარჩიოს წაბლის კულტურების გასაშენებლად საჭირო ფართობები.

10. ტყის კულტურებში, ტყეპარკებში, პარკებში, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გამწვანების ზონაში, ქარსაფარებსა და მინდორსაცავ ტყის ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში სარგავ მასალად არ იქნეს გამოყენებული თელის ჯიშის ის სახეობანი, რომლებიც სოკოვანი დაავადების მიმართ ხასიათდებიან ნაკლები მდგრადობით.

ამ მიზნებისათვის მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული წვრილფოთოლა თელის გამოყენება, რომელიც ჰოლანდიური ავადმყოფობის მიმართ ხასიათდება მაღალი გამძლეობითა და ხელოვნურ ნარგავებში გამოსაყენებლად რეკომენდებულია საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მიერ.

11. საქართველოს წიფლნარების, თელნარების, აგრეთვე სხვა ფოთლოვანი ჯიშების პათოლოგიური და ფიტობიოლოგიური დაავადების წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღებისათვის, მათი სანიტარული და სამეურნეო მდგომარეობის გაჯანსაღება-გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვისა და განხორციელებისათვის საჭიროდ იქნეს მიჩნეული ამ ტყეების შესწავლა. ამასთან დაკავშირებით დაევალოს საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის“ ამიერკავკასიის საწარმოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შეკვეთით, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად, 1970-1973 წლებში უზრუნველყოს რესპუბლიკის წიფლნარების, თელნარებისა და სხვა ფოთლოვანი ჯიშის ტყეების დეტალური გამოკვლევა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუხნარებში ჰოლანდიური დაავადების გავრცელების თავიდან აცილების გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასახვას.

*

* *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ანიჭებს რა დიდ სახელმწიფოებრივ სახალხო მნიშვნელობას რესპუბლიკის ტყეების გაჯანსაღებისა და სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, პირად პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ი. ჩოდრიშვილს, თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ვ. გულისაშვილს და საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ლ. ყანჩაველს ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებისათვის და ავალებს მათ შესრულების შემოწმების შედეგები პერიოდულად მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 29 იანვარი, № 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 18 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თანდართული დებულება.

2. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 დეკემბრის № 1721 დადგენილება „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 4 თებერვალი. № 52

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 თებერვლის № 52 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ახორციელებს ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში თეატრალური, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და საესტრადო ხელოვნების განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი, ამასთანავე სახავს და ახორციელებს ღონისძიებებს ეროვნული საცირკო ხელოვნების განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო პასუხისმგებელია ხელოვნების ამ დარგების მდგომარეობისა და იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის კომუნისტური აღზრდის მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სრულყოფისა და კულტურულ და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარება, როგორც სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები;

მუშაობის ორგანიზაცია ხელოვნების ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად, რომლებიც ასახავენ ლენინური იდეების სიდიადეს და გვიჩვენებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობას, სსრ კავშირის ხალხთა მიღწევებს, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას;

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის ზრდა მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მისი კულტურული დონის ამაღლების საქმეში;

კულტურის ძეგლების სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფა;

კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცება და მისი შემდგომი განვითარება, სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა და წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა სამინისტროს სისტემის საწარმოებში;

შრომისა და მართვის მეცხიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა და სასწავლებელთა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ხელმძღვანელ სამუშაოზე იმ ახალგაზრდების დაწინაურება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც კარგმა სპეციალისტებმა;

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება და მათი ეფექტიანობის გაზრდა, მშენებლობათა ღირებულებისა და დამთავრების ვადების შემცირება, სამშენებლო ობიექტების დაწესებულ ვადებში ამოქმედება;

სამინისტროს სისტემის ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაკების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, კონტროლი მათთვის შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისადმი.

4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ახორციელებს ხელმძღვანელობას ხელოვნების განვითარებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საქმისადმი, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა მეშვეობით, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებისადმი, დაწესებულებებისადმი, საწარმოებისა და სასწავლებლებისადმი — უშუალოდ თვითონ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებები და მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები, დაწესებულებები. საწარმოები და სასწავლებლები ქმნიან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ერთიან სისტემას.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო თავის პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მწერალთა კავშირთან, კომპოზიტორთა კავშირთან, მხატვართა კავშირთან, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან, საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებასა და საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან, აგრეთვე პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

7. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებით და განკარგულებებით, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სასწავლებლებსა და საწარმოებში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას იმ საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს გამგებლობაშია, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

8. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) ახორციელებს თეატრალური, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და საესტრადო ხელოვნების დარგების ხელმძღვანელობას და განაგებს საქართველოს სსრ თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციებისა და სხვა სანახაობითი დაწესებულებების საქმიანობას; წარმართავს და კონტროლს უწევს ადგილობრივი დაქვემდებარების მხატვრულ სანახაობითი კოლექტივების, აგრეთვე სხვა უწყებების თეატრალურ სანახაობათა საწარმოებისა და მხატვრული კოლექტივების მუშაობას; შეიმუშავებს და განახორციელებს ეროვნული საცირკო ხელოვნების განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

ბ) აწყობს კონკურსებს და ახორციელებს სხვა ღონისძიებებს დრამატული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესტრადო ხელოვნების დარგში მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად;

ორგანიზაციას უკეთებს საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე გამოცემული საუკეთესო დრამატული ნაწარმოებებისა და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის დაწერილი ტექსტების თარგმნასა და მათს საჯაროდ შესრულებას, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის თანახმად;

გ) სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შეიმუშავებს და განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციებისა და მხატვრული კოლექტივებისათვის იდეური და მხატვრული რეპერტუარის შესაქმნელად; წარმართავს და კონტროლს უწევს დამტკიცებული რეპერტუარის შესრულების იდეურ-მხატვრულ დონეს;

დ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში თეატრების, მხატვრული კოლექტივების და ცალკეული შემსრულებლების საგასტროლო საქმიანობას; აწყობს როგორც პროფესიული, ისე მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონკურსებსა და ფესტივალებს, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების გამოფენებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დათვალიერებებს და სხვა ღონისძიებებს კულტურისა და ხელოვნების დარგში საბჭოთა ხალხის მიღწევების ჩვენებისათვის;

ე) „ძეგლებისა და მონუმენტების დაპროექტებისა და აგების წესის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 ივლისის № 481 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 იანვრის № 46 დადგენილებათა შესაბამისად განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკაში დასადგმელად გათვალისწინებული ძეგლების, მონუმენტებისა და ბიუსტების პროექტებს, გარდა საკავშირო მნიშვნელობის ძეგლებისა; ახორციელებს კონტროლს ამ პროექტებით აგებული ძეგლების, მონუმენტებისა და ბიუსტების იდეურ-მხატვრული დონისადმი;

ვ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს კულტურის ძეგლთა დაცვის, გამოყენების, რემონტისა და რესტავრაციის საქმეს, აღრიცხავს კულტურის ძეგლებს მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ხელს უწყობს მუზეუმებში დაცული ხელოვნების ნიმუშების, კოლექციებისა და მასალების შესწავლასა და პოპულარიზაციას;

ზ) მუზეუმების, სურათების გალერიებისა და გამოფენების შესავსებად იძენს სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს და სხვა ექსპონატებს;

თ) „მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 1 იანვრის № 39 დადგენილების შესაბამისად ხელმძღვანელობას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოსახლეობაში იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მხატვრული თვითმოქმედების მასობრივი განვითარების საქმეში; ახდენს უწყებათა და ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციას კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის განვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა და განლაგების დარგში; მეთოდურ დახმარებას უწევს სხვა უწყებათა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მათი საქმიანობისადმი; ეწევა კულტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგებას და დაკომპლექტებას, სამუზეუმო ფონდების გადანაწილებას;

ი) ახორციელებს კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმის კოორდინაციას; იღებს სათანადო ზომებს მასობრივი დასვენების ადგილებში მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მუშაობის ახალი ფორმების დასანერგავად;

კ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებების წინადადებათა საფუძველზე შეიმუშავებს რესპუბლიკაში თეატრალურ-სანახაობითი, საკონცერტო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლებისა და სკოლების ქსელის განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს და წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ლ) ახორციელებს ხელმძღვანელობას და დახმარებას ხელოვნების უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი, აგრეთვე მუსიკალური და სამხატვრო შვიდწლიანი სკოლებისადმი;

მ) ხელოვნების უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საშუალებით ამზადებს სპეციალისტებს სახელმწიფო თეატრების, საკონცერტო ორგანიზაციების, მხატვრული კოლექტივების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლებისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის.

ორგანიზაციას უკეთებს კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას;

ნ) შეიმუშავებს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა დაფინანსების გეგმებს, ხელმძღვანელობს ხელოვნებისა და კულტურის დარგში დადგენილ სტატისტიკურ ანგარიშგებას;

ო) ამტკიცებს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების ხარჯთაღრიცხვას და სტრუქტურას და უზრუნველყოფს მათს შესრულებას; განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტისა და სამინისტროს სამეურნეო ორგანიზაციების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს.

აფინანსებს სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც რესპუბლიკურ ბიუჯეტზე იმყოფებიან, და ამოწმებს მათს სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

 პ) წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს ყველაზე მოწინავე მუშაკებს ხელოვნებისა და კულტურის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაწესებულ საპატიო წოდებათა და სხვა ჯილდოების მისანიჭებლად; გარდა ამისა, დადგენილი წესით აჯილდოებს ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებათა მოწინავე მუშაკებს საპატიო სიგელებითა და დიპლომებით;

ჟ) ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკებს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად;

რ) საპროექტო ორგანიზაციების საშუალებით ამზადებს თეატრების შენობების, საკონცერტო დარბაზების, კულტურის სახლებისა და კულტურის სხვა ობიექტების მშენებლობისა და გაფართოება-რეკონსტრუქციის ტექნიკურ დოკუმენტაციას და ამტკიცებს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

ტექნიკურ ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის მიმდინარეობას;

ს) იღებს ზომებს კულტურის დაწესებულებების აღჭურვისათვის კულტინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და ტექნიკური საშუალებებით, დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 872 დადგენილება);

ტ) უზრუნველყოფს უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გეგმების შესრულებას, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს კულტურული ურთიერთობის საკითხებზე;

უ) უზრუნველყოფს უსაფრთხობის ტექნიკას და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვას საქვეუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

9. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას ანაწილებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

10. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მინისტრი (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე ხელოვნებისა და კულტურის ცალკეული მოღვაწენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროზე დაკისრებული ამოცანების და მოვალეობის შესრულებისათვის, იგი განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაობისათვის.

12. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებების, სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის და ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ბრძანებები, ინსტრუქციები, აგრეთვე მითითებანი სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა თეატრალურ-სანახაობითი საწარმოსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, აგრეთვე იმ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

13. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს ხელოვნების განვითარების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის და სამინისტროს საქმიანობის სხვა ძირითად საკითხებს, დაწესებულებებისადმი, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებათა გამგეების, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. რესპუბლიკაში ხელოვნების, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისა და მასობრივი მხატვრული შემოქმედების განვითარების ძირითადი პრობლემების განსახილველად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან იქმნება სამხატვრო, სამეცნიერო-მეთოდური და საექსპერტო საბჭოები, რომლებშიაც შევლენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შემოქმედებითი მუშაკები, შემოქმედებითი კავშირებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აღნიშნული საბჭოების შემადგენლობას და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

15. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს და მისი სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს შეუძლია სამინისტროს ცალკეული სამმართველოები და განყოფილებები გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.

16. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

---

## 19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე იქნეს გადაყვანილი 1970 წლის 1 იანვრიდან პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს 46 საწარმო და დაუწესდეს მათ საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელის ნორმა, № 1 დანართის თანახმად.

პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სისტემის ყველა საწარმოს მუშაკთა მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გადაყვანილ იქნან შრომის ანაზღაურების ახალ სისტემაზე ამ სამმართველოს აპარატის მუშაკები.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საწარმოებმა, რომლებიც ამ დადგენილების თანახმად გადაყვანილი არიან მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე, მიიღეს 1970 წლისათვის დამტკიცებული გეგმის დამატებითი დავალებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გადიდდეს პროდუქციის რეალიზაცია — 102 ათასი მანეთით, მოგება 42,8 ათასი მანეთით, შემცირდეს საწარმოთა გეგმიანი ზარალი 18,5 ათასი მანეთით, გადიდდეს სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი მოგების ანარიცხები 4,6 ათასი მანეთით.

მეურნეობის გაძღოლის ახალ სისტემაზე წინათ გადაყვანილმა საწარმოებმა ვალდებულება იკისრეს გაადიდონ გეგმიანი მოგება 20 ათასი მანეთით და სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების ანარიცხები — 2 ათასი მანეთით;

ბ) შეამცირონ ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი 20,4 ათასი მანეთით (წარმოების განვითარების ფონდში საამორტიზაციო ანარიცხთა წარმართვის ხარჯზე);

გ) გაადიდონ მუშათა ხელფასის ფონდი 33,4 ათასი მანეთით, სამრეწველო წარმოების მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით;

დ) გაადიდონ შრომისნაყოფიერება 1969 წელს მიღწეულთან შედარებით 13 პროცენტით, ხოლო მუშათა საშუალო ხელფასი — 8,8 პროცენტით.

3. დაუმტკიცდეთ გეგმიან-საზარალო საწარმოებს ეკონომიური სტიმულირების ფონდებში გეგმიანი ზარალის შემცირებისაგან ანარიცხების ჯგუფური ნორმატივები, № 2 დანართის თანახმად.

4. დაუწესდეს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს სამმართველოს აპარატის მუშაკთა წასახალისებლად განკუთვნილი მატერიალური წახალისების ფონდის ამოსავალი ნორმა ყველა იმ საქვეუწყებო საწარმოს მატერიალური წახალისების საერთო ფონდის 6 პროცენტამდე რაოდენობით, რომლებიც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობენ.

5. ნება დაერთოს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარ სამმართველოს მოახდინოს 1970 წლის 1 იანვრიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის და საქვეუწყებო საწარმოთა წარმოების განვითარების ფონდის 50 პროცენტამდე ცენტრალიზაცია იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის 1968 წლის 8 მაისის განმარტებებით.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის 1970 წლისათვის დამტკიცებულ გეგმებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებანი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს სწორი თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს შორის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 9 თებერვალი, № 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 9 თებერვლის № 58
დადგენილების დანართი № 1

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებისა, რომლებიც გადაყვანილ არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, და საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელის ოდენობა, რაც მათ დაუწესდათ

| საწარმოების დასახელება | | საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელის ოდენობა |
|---|---|---|
| **I. მცირერენტაბელური საწარმოები** | | |
| ახმეტის | სტამბა | 3 პროც. |
| გეგეჭკორის | „ | 3 პროც. |
| გარდაბნის | „ | 6 პროც. |
| კასპის | „ | 6 პროც. |
| ქარელის | „ | 6 პროც. |
| ლაგოდეხის | „ | 6 პროც. |
| ლანჩხუთის | „ | 6 პროც. |
| მაიაკოვსკის | „ | 6 პროც. |
| საჩხერის | „ | 6 პროც. |
| სიღნაღის | „ | 6 პროც. |
| ტყიბულის | „ | 6 პროც. |
| თეთრიწყაროს | „ | 6 პროც. |
| თერჯოლის | „ | 3 პროც. |
| წითელწყაროს | „ | 6 პროც. |
| წულუკიძის | „ | 6 პროც. |
| ჩოხატაურის | „ | 6 პროც. |
| **II. ხარჯთდაფარვადი საწარმოები** | | |
| აბაშის | სტამბა | განთავისუფლებულია |
| ამბროლაურის | „ | „ |
| ბოგდანოვკის | „ | „ |
| დმანისის | „ | „ |
| ყვარლის | „ | „ |
| ქობულეთის | „ | „ |
| მარნეულის | „ | „ |
| ორჯონიკიძის | „ | „ |
| საგარეჯოს | „ | „ |
| ხულოს | „ | „ |
| წალენჯიხის | „ | „ |
| წალკის | „ | „ |
| **III. გეგმიან-საზარალო საწარმოები** | | |
| ადიგენის | სტამბა | განთავისუფლებულია |
| ასპინძის | „ | „ |
| ვანის | „ | „ |
| გალის | „ | „ |
| ჯავის | „ | „ |
| ზნაურის | „ | „ |
| ყაზბეგის | „ | „ |
| ქედის | „ | „ |
| ლენინგორის | „ | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| | | საწარმოების დასახელება | საწარმოო ფონდებისათვის გადასახდელის ოდენობა |
| ლენტეხის | სტამბა | . . . . . | განთავისუფლებულია |
| მესტიის | „ | . . . . . | „ |
| ონის | „ | . . . . . | „ |
| თიანეთის | „ | . . . . . | „ |
| ხობის | „ | . . . . . | „ |
| ცაგერის | „ | . . . . . | „ |
| ჩხოროწყუს | „ | . . . . . | „ |
| შუახევის | „ | . . . . . | „ |
| გულრიფშის | „ | . . . . . | „ |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 9 თებერვლის № 33
დადგენილების დანართი № 2

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ**

**სასტარტო ამოსავალი ნორმები და ჯგუფური ნორმატივები მოგების ანარიცხებისა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებისათვის, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე 1970 წლის 1 იანვრიდან**

| საწარმოთა ჯგუფები | მატერიალური წახალისების ფონდი | | | | სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი | | | | წარმოების გაფართოების ფონდი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასტარტო ამოსავალი ნორმა | ნორმატივები | | | სასტარტო ამოსავალი ნორმა | ნორმატივები | | | სასტარტო ამოსავალი ნორმა | ნორმატივები | | |
| | | რეალიზაციის ზრდის უკვე პროცენტში | საწარმოშეწირული რენტაბელობის ყოველ პროც. | პირობითად საწარმოშეწირული რენტა ყველ პროცენტში | | რეალიზაციის ზრდის უკვე პროცენტში | საწარმოშეწირული რენტაბელობის ყოველ პროც. | პირობითად საწარმოშეწირული რენტა ყველ პროცენტში | | რეალიზაციის ზრდის უკვე პროცენტში | საწარმოშეწირული რენტაბელობის ყოველ პროც. | პირობითად საწარმოშეწირული რენტა ყველ პროცენტში |
| მცირერენტაბელური | 8.0 | 0,157 | 0.554 | — | 1.8 | 0.035 | 0.125 | — | 0.8 | 0.015 | 0,055 | — |
| ხარჯიდაფარული | 8.8 | 0,176 | 0.966 | — | 1.7 | 0,034 | 0,187 | — | 0,9 | 0,019 | 0,103 | — |
| გეგმიან-საზარალო | 9.0 | 0.161 | — | 1.473 | 1.8 | 0.032 | — | 0.295 | — | — | — | — |
| პოლიგრაფიული მრეწველობა — სულ | 8.5 | 0,218 | 0,453 | — | — | — | — | — | — | — | — | — |

**შენიშვნა:** მოგების ზრდის დამატებითი რეზერვების გამოძებნისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენს წინადადებებს, რომ გადიდდეს სასტარტო ამოსავალი ნორმები დაბალრენტაბელური ნორმების ფონდებზე და ამასთან დაკავშირებით შეიცვალოს ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხთა ნორმატივები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 20 საქართველოს სს რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წლის 12 თებერვალი № 65.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 თებერვლის № 65 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა
## საქართველოს სს რესპუბლიკაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების შესახებ

1. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები წარმოადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მუდმივმოქმედ ორგანოებს.

აღნიშნულ კომისიებს შექმნიან ის ორგანოები, რომლებთანაც ისინი მოქმედებენ.

2. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიების ამოცანაა შეისწავლონ ნარკომანიის გავრცელების მიზეზები და შეიმუშაონ კონკრეტული სამედიცინო, სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებანი მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

3. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები შეიქმნება (შესაბამისად) შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების მოადგილეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეები და 6-12 წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნებიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ორგანოების, ადმინისტრაციული ორგანოების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

კომისიის წევრთა შემადგენლობას განსაზღვრავს ის ორგანო, რომელმაც ეს კომისია შექმნა.

4. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ იმ ორგანოებს, რომლებმაც ისინი შექმნეს და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ზემდგომ კომისიებს.

5. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები მიიღებენ გადაწყვეტილებებს თავიანთ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. ეს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის, საწარმოებისათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, თანამდებობრივი პირებისა და მოქალაქეებისათვის, რომლებიც მოვალენი არიან ორი კვირის ვადაში აცნობონ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას, თუ რა ზომები მიიღეს მათ კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

6. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს უფლება აქვთ:

ა) განახორციელონ კონტროლი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოების მუშაობისადმი ნარკომანების, მათ შორის იმ პირთა გამოვლინებისა და აღრიცხვის საქმეში, რომლებიც იჩენენ ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მიდრეკილების პირველ ნიშნებს;

ბ) კონტროლი გაუწიონ იმას, თუ როგორ სრულდება ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოტანის, შენახვისა და გაცემის წესი;

გ) შეამოწმონ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წარმოებული მუშაობა რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ყველა ორგანოში, რომლებიც მოწოდებული არიან ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის;

დ) მოსთხოვონ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს საჭირო ცნობების წარდგენა;

ე) მოისმინონ თავიანთ სხდომებზე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაცია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

ვ) წარდგინებებით მიმართონ ზემდგომ ორგანოებს და შეიტანონ მათ განსახილველად წინადადებანი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე, რომლებიც ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტას მოითხოვენ;

ზ) დააყენონ შესაბამისი ორგანოების წინაშე საკითხი, რომ დაედოთ დისციპლინური სასჯელი ან განხორციელდეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც კომისიის დადგენილებას არ ასრულებენ;

თ) წარდგინებით მიმართონ სახალხო სასამართლოს, რათა ჩამოართვას მშობლის უფლებები, თუ დადგენილი იქნება, რომ მამა (დედა) ბოროტად იყენებს მშობლის უფლებებს და თავისი მოქმედებით აიძულებს არასრულწლოვან შვილებს იხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებანი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია შეამოწმებს იმ პირთა მკურნალობისა და შრომითი აღზრდის მდგომარეობას, რომლებიც გაგზავნილი არიან საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიაში შრომითი აღზრდისა და იძულებითი მკურნალობისათვის.

8. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები კონტროლს უწევენ იმას, თუ როგორ სრულდება ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

9. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

---

## 21 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ

„პენსიის დანიშვნის შემდეგ მუშაობის განგრძობით შრომისუნარიანი მოხუცებულობის პენსიონერების მატერიალური დაინტერესების შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1970 წლის 1 იანვრიდან:

1) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 17 მარტის № 294 განკარგულების მე-2 პუნქტი მოხუცებულობის პენსიების გაცემის ნაწილში;

2) „მარცვლის, შაქრისა და ხორცის პროდუქტების დაბინავებისა და დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 31 ოქტომბრის № 617 დადგენილების მე-14 პუნქტის ქვეპუნქტი „ზ“ მოხუცებულობის პენსიის გაცემის ნაწილში;

II. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით ძალადაკარგულია 1970 წლის 1 იანვრიდან:

1) პუნქტი 8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 აგვისტოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 681 დადგენილებისა „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებით, მისი ხარისხის გაუმჯობესებით და შრომის ნაყოფიერების ამაღლებით სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოების მუშათა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 სექტემბრის № 1347 განკარგულებასთან ერთად, მოხუცებულობის პენსიის გაცემის ნაწილში;

2) პუნქტი 11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 39 დადგენილებისა „მოსახლეობის მასობრივი დასვენებისა და კულტურული მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 19 მარტის № 146 დადგენილებასთან ერთად;

3) პუნქტი 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 თებერვლის № 157 დადგენილებისა „ცალკეული კატეგორიების მომუშავე პენსიონერებისათვის სახელმწიფო პენსიების მიცემის წესის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 მარტის № 206 განკარგულებასთან ერთად, მოხუცებულობის პენსიის გაცემის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 12 თებერვალი, № 67.

## 22 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლის ნორმების შესახებ

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 43-ე პუნქტის შესაბამისად, რესპუბლიკის რაიონების და კოლმეურნეობების ბუნებრივ-ეკონომიური პირობებისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წინადადებანი და ნება დაერთოთ კოლმეურნეთა ოჯახებს (საკოლმეურნეო კომლებს) იყოლიონ პირად საკუთრებაში პირუტყვი შემდეგი რაოდენობით:

ა) იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების 43-ე პუნქტით: კასპის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერის, ორჯონიკიძის, მახარაძის და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობებში, აგრეთვე ხაშურის, ქარელის, გორის, ბორჯომის, საგარეჯოს, თელავის, ბოლნისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, წულუკიძის, ვანის, ტყიბულის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის და ზნაურის, აჭარის ასსრ ბათუმის და ქობულეთის რაიონების კოლმეურნეობებში, გარდა მთიანი და მეცხოველეობის კოლმეურნეობებისა, რაც გათვალისწინებულია მომდევნო ქვეპუნქტებით;

ბ) ორამდე ძროხა ან ორამდე ფურკამეჩი ერთ წლამდე ასაკის ნამატით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორ წლამდე ასაკის ორამდე მოზარდეული, ოცამდე ცხვარი და თხა ერთად, ორამდე ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორამდე სასუქი ღორი, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვერები — ახალციხის, ახალქალაქის. ბოგდანოვკის. ადიგენის, წალკის, ასპინძის, მარნეულის, დმანისის, ონის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ცაგერის, ჩხოროწყუს და თიანეთის (გარდა ზოგიერთი მთიანი სოფლებისა, იხ. დანართი № 3), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის (გარდა ზოგიერთი მთიანი და მეცხოველეობის კოლმეურნეობისა, იხ. დანართი № 3), და აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში (გარდა ზოგიერთი მთიანი და მეცხოველეობის კოლმეურნეობისა, იხ. დანართი № 2), ხოლო ხაშურის, ქარელის, გორის, ბორჯომის, საგარეჯოს, ბოლნისის, თეთრი წყაროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის და ზნაურის, წყალტუბოს, წულუკიძის, ვანის, ტყიბულის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, აჭარის ასსრ ბათუმის და ქობულეთის რაიონების მთიანი და მეცხოველეობის კოლმეურნეობებში № 1 დანართის თანახმად;

გ) სამამდე ძროხა ან სამამდე ფურკამეჩი ერთ წლამდე ასაკის ნამატით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორ წლამდე ასაკის ორამდე მოზარდეული, ოცდახუთამდე ცხვარი და თხა ერთად, ორამდე ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორამდე სასუქი ღორი, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვერები — აჭარის ასსრ ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონების კოლმეურნეობებში, ხოლო თელავის, ჩოხატაურის და აფხაზეთის ასსრ მთიანი და მეცხოველეობის კოლმეურნეობებში — № 2 დანართის თანახმად;

დ) ხუთამდე ძროხა ან ხუთამდე ფურკამეჩი ერთ წლამდე ასაკის ნამატით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორ წლამდე ასაკის სამამდე მოზარდეული, ორმოცამდე ცხვარი და თხა ერთად, ორამდე ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორამდე სასუქი ღორი, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვერები — ლენტეხის, მესტიის, უაზბეგის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობებში, ხოლო დუშეთის, თიანეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ მიური ოლქის ლენინგორის და ზნაურის რაიონების ზოგიერთ მთიან და მეცხოველეობის კოლმეურნეობაში № 3 დანართის თანახმად;

2. ნება დაერთოს კოლმეურნეთა ოჯახებს (საკოლმეურნეო კომლებს), სადაც ეს მიზანშეწონილია, ეროვნულ და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა გათვალისწინებით, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით იყოლიონ პირად საკუთრებაში ერთი ნეზვის ნაცვლად სამი ცხვარი.

3. ნება დაერთოთ კოლმეურნეობებს განიხილონ წევრთა საერთო კრებაზე და გადაწყვიტონ საკითხი საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაში ერთი საჯდომი ცხენის (ჯორის) ან ვირის ყოლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 16 თებერვალი, № 75.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 16 თებერვლის № 75
დადგენილების დანართი № 1

## ს ი ა

**საქართველოს სსრ იმ კოლმეურნეობებისა, სადაც კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) ნება ეძლევა იყოლიოს პირად საკუთრებაში ორამდე ძროხა ან ორამდე ფურკამეჩი ერთ წლამდე ასაკის ნამატით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორ წლამდე ასაკის ორამდე მოზარდეული, ოცამდე ცხვარი და თხა ერთად, ორამდე ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორამდე სასუქი ღორი, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვერები**

### ხაშურის რაიონი

სოფელ წრომის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ყელეთი, ხავლეთი და ვაკე პანტები;

„ ხცისის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: დიდი თხილანა და პატარა თხილანა;

„ ცოცხნარის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ცივწყარო, ოძისი, ცედანი და წაბლოვანა.

### ქარელის რაიონი

სოფელ ზღუდრის კოლმეურნეობა.

დაბა ქარელის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: გომბორი, ბატიური და კლდისთავი.

სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: თრეხვი, მეხეთი და ტყემალა.

### გორის რაიონი

სოფელ ზერტის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ყველაანთუბანი, გაგლუანთუბანი, ლევიტანა, გაიჩაანთუბანი და ტუსრები.

„ ზეღდულეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: მღებრიანი, სახორცე, ტანი, ოქიანი, დიდი ჭვარები და პატარა ჭვარები.

„ ბერშუეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი პატარა წერეთი.

„ მერეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: თხინალა, იფნარი, დიდი წერეთი და ჭანჭახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ კარბის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები:
ბობნევი და ბიისი.
„ ხიდისთავის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები:
ზემო ახალსოფელი, ნადარბაზევი, გულხანდისი, პიტნარა და ბორცვანა.
„ ქვახვრელის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები:
ფელი, ავკვეთი და ველები.
„ ატენის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები:
დრე, იკვნევი, ხანდისი და ღვედრეთი.
„ ბნავისის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები:
ბნავისი, წედისი, ღვარები, ოლოზი და ზემო ქსოვრისი.

### ბორჯომის რაიონი

სოფელ ტაბაწყურის კოლმეურნეობა.
„ მოლითის „
„ ჭიხარულის „
„ ბალანთის „

### საგარეჯოს რაიონი

სოფელ გომბორის კოლმეურნეობა.
„ კოჭბაანის „
„ კრასნოგორსკის „

### ბოლნისის რაიონი

სოფელ სარაჩლოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა.
„ ქვემო გულავერის XX პარტყრილობის „
„ ზემო გულავერის აზიზბეკოვის „
„ დარბაზის ტელმანის სახელობის „
„ ფახრალოს კოლმეურნეობა „პობედა“.
„ მუსოფრიანის კოლმეურნეობა.
„ დემურლოს „
„ კიპირჯიკის „

### თეთრი წყაროს რაიონი

სოფელ ალგეთის კოლმეურნეობა.
„ ივანოვკის „
„ კლდეისის „
„ ირაგის „

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ცხინვალის რაიონი

| | |
|---|---|
| სოფელ | ქემერთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: სვერი და კიწინა |
| „ | ძარწემის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ანდისი, ზალდა, მამითა. |
| „ | აჩაბეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: მონასტერი, საბაწმინდა და გაგლოითკაუ. |
| „ | დისევის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ნაქალაქი, ქვემო კორკულა, შუა კორკულა და ზემო კორკულა. |
| „ | დმენისის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ზემო სნეკვი და ქვემო სნეკვი. |
| „ | ქსუისის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები· ქვემო ჭარები და ზემო ჭარები. |

### ზნაურის რაიონი

| | |
|---|---|
| სოფელ | წნელისის კოლმეურნეობა. |
| „ | თიღვის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ღარისთავი, ქალეთი, მეტეხი, ბალთა, ჩრდილეთი, ნაგუთნი და პიჭვიგვინა. |

### ლენინგორის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | კიტრიულის | კოლმეურნეობა. |
| „ | წინაგარის | „ |
| „ | ორჭოსნის | „ |
| „ | აბრევის | „ |
| „ | ცხილონის | „ |
| „ | წირის | „ |
| „ | წუბენის | „ |
| „ | წოლდის | „ |
| „ | ზახორის | „ |

### წყალტუბოს რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | საჩხეურის | კოლმეურნეობა. |
| „ | დღნორისის | „ |
| „ | დერჩის | „ |
| „ | მექვენის | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### წულუკიძის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | გორდის | კოლმეურნეობა. |
| „ | კინჩხის | „ |
| „ | ძეძილეთის | „ |
| „ | ღვედის | „ |
| „ | სუხჩის | „ |
| „ | ახალბედისეულის | „ |
| „ | დედალაურის | „ |

### ვანის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | უხუთის | კოლმეურნეობა |
| „ | საპრასიის | „ |
| „ | რომანეთის | „ |
| „ | ყუმურის | „ |

### ტყიბულის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | მუხურის | კოლმეურნეობა. |
| „ | ძიროვანის | „ |
| „ | სოჩხეთის | „ |
| „ | ძმუისის | „ |

### აშბროლაურის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | ლიხეთის | კოლმეურნეობა. |
| „ | ცახის | „ |
| „ | თხმორის | „ |
| „ | შავრა-ნამანევის | „ |
| „ | ხონჭიორის | „ |
| „ | წკადისის | „ |
| „ | ველევის | „ |
| „ | სხვავის | „ |

### ჩოხატაურის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | ნაბეღლავის | კოლმეურნეობა. |
| „ | ხევის | „ |
| „ | დიდი ვანის | „ |
| „ | ზემო სურების | „ |
| „ | ზემო ხეთის | „ |
| „ | შუა სურების | „ |

№/1 ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბათუმის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | აჭარისწყლის | კოლმეურნეობა. |
| „ | მარადიდის | „ |
| „ | კირნათის | „ |
| „ | ქედქედის | „ |
| „ | აჭარის აღმართის | „ |
| „ | ქვედა ჩხუტუნეთის | „ |
| „ | ზედა ჩხუტუნეთის | „ |
| „ | ჩიქუნეთის | „ |

### ქობულეთის რაიონი

| | |
|---|---|
| სოფელ | აჭის კოლმეურნეობა |
| „ | ჭახათის კოლმეურნეობა |
| „ | ხალას კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი ჩაქვისთავი |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 16 თებერვლის № 75
დადგენილების დანართი № 2

## ს ი ა

**საქართველოს სსრ იმ კოლმეურნეობებისა, სადაც კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) ნება ეძლევა იყოლიოს პირად საკუთრებაში სამამდე ძროხა ან სამამდე ფურკამეჩი ერთ წლამდე ასაკის ნამატით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორ წლამდე ასაკის ორამდე მოზარდეული, ოცდახუთამდე ცხვარი და თხა ერთად, ორამდე ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორამდე სასუქი ღორი, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვერები**

### თელავის რაიონი

სოფელ თეთრიწყლების კოლმეურნეობა

### ჩოხატაურის რაიონი

სოფელ ზოტის კოლმეურნეობა
„ ჩხაკოურას „

### გულრიფშის რაიონი

სოფელ აზანთის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობა
„ ამტყელის რუსთაველის „ „
„ ამტყელის მახარაძის „ „
„ ლათის კამოს „ „
„ აჟარის კოლმეურნეობა „ახალი აჟარა“
„ აჟარის კოლმეურნეობა „გენცვიში“

### სოხუმის რაიონი

სოფელ გუმისთის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი ფსხუ.
„ კელასურის კოლმეურნეობა „ემბროს“
„ ახალშენის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა.

### გუდაუთის რაიონი

სოფელი აგარაკის შუმიანის სახელობის კოლმეურნეობა
„ ხოფის კოლმეურნეობა „ხოფი“
„ ანუხვის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გაგრის რაიონი

სოფელ მეხადირის სპანდარიანის სახელობის კოლმეურნეობა
„ ხოლოდნაია რეჩკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა
„ ლესელიძის კოლმეურნეობა „დრუჟბაში“ შემავალი სოფელი სულევო.

### ოჩამჩირის რაიონი

სოფელ ჭლოუს ლაკობას სახელობის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი აიშარა.
„ ღვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი ახუწა.
„ გუფის კოლმეურნეობა „აფსნში“ შემავალი სოფ. აჯამფაზრა.
„ ჯგერდის კოლმეურნეობა „პრავდაში“ შემავალი სოფელი ახუწა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 16 თებერვლის № 75
დადგენილების დანართი № 3

## ს ი ა

**საქართველოს სსრ იმ კოლმეურნეობებისა, სადაც კოლმეურნის ოჯახს (საკოლმეურნეო კომლს) ნება ეძლევა იყოლიოს პირად საკუთრებაში ხუთამდე ძროხა ან ხუთამდე ფურკამეჩი ერთ წლამდე ასაკის ნამატით და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორწლამდე ასაკის სამამდე მოზარდეული, ორმოცამდე ცხვარი და თხა ერთად, ორამდე ნეზვი სამ თვემდე ასაკის ნამატით ან ორამდე სასუქი ღორი, ფუტკარი, ფრინველი და ბოცვერები**

### დუშეთის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | ანანურის | კოლმეურნეობა |
| „ | ხორხის | „ |
| „ | მაღაროსკარის | „ |
| „ | ფასანაურის | „ |
| „ | მთიულეთის | „ |
| „ | მლეთის | „ |
| „ | ჭართლის | „ |
| „ | მაქართის | „ |
| „ | ხანდოს | „ |
| „ | გუდამაყრის | „ |
| „ | ბაზალეთის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: აფშო, როშკა, ჭიმღა, ამღა, ახიელა, ქმოსტი და ღელისვაკე. | |

### ზნაურის რაიონი

სოფელ ავნევის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი ხამფალგომი.

### ლენინგორის რაიონი

| | | |
|---|---|---|
| სოფელ | ლარგვისის | კოლმეურნეობა |
| „ | დორეთკარის | „ |
| „ | დადიანეთის | „ |
| „ | უკანამხარის | „ |
| „ | ბალაანის | „ |
| „ | წინაგრის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: საბარკლეთი, ჩკუნეთი, ძანგათი და ველისა | |
| „ | ორჭოსნის კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი კარა. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფიანეთის რაიონი**

სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ჭიაურა და ხაიშო.

" არტანის კოლმეურნეობაში შემავალი სოფლები: ზემოშარახევი, ქვემოშარახევი, ზენამხარი, ივლიანთგორი, ბუჭყინტა და ლახატო.

" ზარიძეების კოლმეურნეობაში შემავალი სოფელი ქუშხევი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 23 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის № 953 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 დეკემბრის № 1018 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის № 953 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

II. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის № 953 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია:

1) „საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ტრესტების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 257 იმ დადგენილების მე-7 პუნქტის მეოთხე აბზაცი, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 255 დადგენილებასთან ერთად;

2) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 მარტის № 410 დადგენილება „იმის შესახებ, რომ გარდაიქმნას სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების დირექტორის ფონდი საბჭოთა მეურნეობის (ცხენსაშენის) ფონდად მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების სრულყოფისათვის“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 აპრილის № 403-გ განკარგულებასთან ერთად, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს მოქმედება მისი გავრცელებისა, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 ივლისის № 567 დადგენილებით;

3) პუნქტი 11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 დადგენილებისა „უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების სასწავლო-საცდელ მეურნეობათა ნაწილში; ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 21 აპრილის № 482-გ განკარგულებასთან ერთად;

4) პუნქტი 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 9 ივლისის № 924 დადგენილებისა „საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სასწავლო-საცდელ მეურნეობათა ნაწილში; ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 21 ივლისის № 936-გ განკარგულებასთან ერთად;

5) პუნქტი 8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხის დამატებით გადაცემის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 17 თებერვალი, № 76

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 17 თებერვლის № 76 დადგენილებით

## ნუსხა

## საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 დეკემბრის № 953 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 ოქტომბრის № 600 დადგენილების მე-4, 5, 6 და 8 პუნქტები.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 აპრილის № 392გ განკარგულება.

3. „ყურძნის, ხილისა და კენკრის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ივლისის № 406 დადგენილების მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშებისა და მოსამსახურეებისა, ვინც შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემატოს შემდეგი პუნქტი:

114. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 თებერვალი, № 78.

## 25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 550 დადგენილების მე-4 პუნქტის II³ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს მწერალთა კავშირის თხოვნა და ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების დამატებისა და ნაწილობრივი შეცვლის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 550 დადგენილების მე-4 პუნქტის II³ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1970 წ. 20 თებერვალი, № 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებაში ცვლილებების შეტანისა და სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელთა ანარიცხების განაწილების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებით „კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ დამტკიცებულ ღონისძიებათა ნუსხაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

— პუნქტი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა, აგრეთვე ავტო-მოტო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხობის პროპაგანდა“.

— დაემატოს პუნქტი 18:

„18. სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სასამსახურო შენობების მშენებლობა და კაპიტალური შეკეთება, აგრეთვე მათი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და კაპიტალური შეკეთება და სათადარიგო ნაწილების შეძენა“.

2. სახელმწიფო დაზღვევის გადასახდელებიდან 1970 წლისათვის გამოყოფილი სახსრები 1164 ათასი მანეთი და 1969 წლის ანარიცხების გადაანგარიშებით მიღებული თანხა 78 ათასი მანეთი მიმდინარე წელს დაიხარჯოს:

| | |
|---|---|
| პირუტყვისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებისა და დაღუპვის თავიდან აცილებისათვის | 580 ათ. მანეთი |
| სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის | 420 ათ. მანეთი |
| მტაცებელი ნადირის განადგურებისათვის | 112 „ „ |
| სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებისათვის სასამსახურო შენობების მშენებლობის, კაპიტალური შეკეთების, აგრეთვე მათი სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად და კაპიტალური შეკეთებისათვის და სათადარიგო ნაწილების შესაძენად | 100 „ „ |
| ავტო-მოტო ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროების პროპაგანდისათვის | 30 „ „ |

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა და სახელმწიფო დაზღვევის მთავარმა სამმართველომ ამ ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმდინარე წელს გამოიყენონ 1969 წლის აუთვისებელი ნაშთი.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ და სახდაზღვევის მთავარმა სამმართველომ შეადგინონ და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცონ იმ ღონისძიებათა დაფინანსების გეგმები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 1970 წელს, და მიიღონ ქმედითი ზომები გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ და მთლიანად ასათვისებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა უმოკლეს ვადაში გაანაწილონ გამაფრთხილებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1970 წლისათვის გამოყოფილი სახსრები იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 20 თებერვალი, № 80.

## 27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილების მე-6 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის“ მარკის იმ ავტომობილების ფონდების 40 პროცენტის ათვისება, რომლებიც საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გამოეყო მისი განრიგებით ინვალიდებისათვის უფასოდ მისაცემად, დაეკისროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ხოლო 60 პროცენტისა — ცეკავშირის გამგეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი 1970 წ. 23 თებერვალი, № 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 28 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ მოხუცებულობის პენსიონერებთან და ინვალიდებთან ხელშეკრულებათა დადების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 აგვისტოს № 705 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 სექტემბრის № 555 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები და წესი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ხელშეკრულებათა დადებისა მოხუცებულობის პენსიონერებთან და ინვალიდებთან მათ მიერ მოსახლეობისათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საგნების შეკეთების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი 1970 წ. 24 თებერვალი, № 86.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 24 თებერვლის № 86 დადგენილებით

## პირობები და წესი

**მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ხელშეკრულებათა დადებისა მოხუცებულობის პენსიონერებთან და ინვალიდებთან მათ მიერ მოსახლეობისათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საგნების შეკეთების შესახებ**

1. ეს პირობები და წესი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მიერ (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) ხელშეკრულებათა დადებისა მოხუცებულობის პენსიონერებთან და ინვალიდებთან მათ მიერ მოსახლეობისათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და სამეურნეო საჭიროების საგნების შეკეთების შესახებ შემუშავებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 სექტემბრის № 555 დადგენილების მეოთხე პუნქტის და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1969 წლის 15 ოქტომბრის № 166 ბრძანების შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამ პირობებისა და წესის შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად შეიძლება გამოყენებულ იქნან მოხუცებულობის პენსიონერები და ყველა ჯგუფის ინვალიდები, უკეთუ მათ მოეპოვებათ სამედიცინო მაჩვენებლები მოცემული სამუშაოსათვის.

3. მოხუცებულობის პენსიონერები და ინვალიდები მომსახურებას უწევენ ხელშეკრულების მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ პირადი შრომით სახელოსნოში, საწარმოს მიერ გამოყოფილ ატელიეში, პავილიონში და სხვ. ან თავის ოჯახში, ანდა შემკვეთის ოჯახში, აგრეთვე ქუჩაში, ეზოში და ა. შ.

სახელოსნოში, ატელიეში, პავილიონში და სხვ. მომსახურების გაწევა წარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს.

4. მომსახურების გასაწევად შემსრულებელი იყენებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოს მიერ მიცემულ ნედლეულსა და მასალებს იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ამონაგების გეგმიანი დავალების შესასრულებლად.

5. მოხუცებულობის პენსიონერები და ინვალიდები, რომლებიც ხელშეკრულების მიხედვით მუშაობენ, მუშაობის დროს უნდა ატარებდნენ ჟეტონს— საფირმე ნიშანს.

6. შეკვეთები უნდა სრულდებოდეს შემკვეთთან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში და შემკვეთთან შეთანხმებულ ფასად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოცემული სახის სამუშაოსათვის დაწესებულ საპრეისკურანტო ფასს.

7. მოხუცებულობის პენსიონერები და ინვალიდები, რომლებიც ხელშეკრულების მიხედვით მუშაობენ, პასუხს აგებენ საწარმოს წინაშე სამუშაოს ხარისხისა, მისი შესრულების ვადისა და ნივთის დაცვა-შენახვისათვის. შემკვეთის მოთხოვნით შემსრულებელი აძლევს მას შენახვის ხელწერილს ნივთის მიღებაზე შეპირობებული ფასის აღნიშვნით.

8. შემკვეთის ხარისხის, შესრულების ვადისა და მისი ფასის გამო შემკვეთსა და შემსრულებელს შორის წამოჭრილ უთანხმოებას განიხილავს და გადაწყვეტს საწარმო.

9. ამ პირობებისა და წესის შესაბამისად ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ყოველგვარი ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იგი შეიძლება გაგრძელდეს.

ხელშეკრულებაში აუცილებლად აღინიშნება ყოველი თვის ამონაგების ოდენობა.

10. მე-9 პუნქტში აღნიშნული თვიური ამონაგების ოდენობის ხარჯზე მიეცემა ხელფასი შემსრულებელს შეპირობებული პროცენტის ოდენობით, აგრეთვე დაიფარება საწარმოს ყოველგვარი ხარჯები (ნედლეული და მასალები), საერთო-საწარმოო ხარჯები, დამატებითი ხელფასი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელშეკრულებაში აღნიშნულმა ამონაგების ოდენობამ, დანახარჯების გამოკლებით, უნდა უზრუნველყოს მომსახურების მოცემული სახეობის რენტაბელობის ნორმალური დონე.

11. მოხუცებულობის პენსიონერები და ინვალიდები, რომლებმაც ხელშეკრულება დადეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოსთან, მოვალენი არიან თვეში ორჯერ — 14 და 28 რიცხვს შეიტანონ საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან ცენტრალურ სალაროში ამონაგების ხელშეკრულებით შეპირობებული თანხა.

ამონაგების თანხის თვეების მიხედვით განაწილების დროს მხედველობაში მიიღება დრო მორიგი შვებულებისათვის.

12. საწარმო თვეში ორჯერ, საწარმოში ხელფასის გაცემის ვადასთან შეფარდებით, მისცემს შემსრულებელს მის ხვედრ ხელფასს ამონაგების შეტანილი თანხის ხელშეკრულებით დაწესებული პროცენტის ოდენობით, ამასთან დაუკავებს დადგენილი წესით გადასახადს.

საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს ხელშეკრულებაში შემსრულებლის ხელფასისათვის ანარიცხის გადიდებული პროცენტი იმ ამონაგებიდან, რომელიც შეტანილია საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან ცენტრალურ სალაროში ამონაგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების გადამეტებით.

13. მოხუცებულობის პენსიონერები და ინვალიდები, რომლებმაც ხელშეკრულება დადეს საწარმოსთან, სარგებლობენ მორიგი შვებულების და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მატერიალური უზრუნველყოფის უფლებით საწარმოს ყველა მუშაკის თანაბრად.

14. ამონაგების მოცულობის შეცვლა დაიშვება მხარეთა შეთანხმებით წელიწადში მხოლოდ ორჯერ.

იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი საპატიო მიზეზის უქონლად არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამონაგების თანხის მოცულობას ორი თვის განმავლობაში, საწარმოს უფლება აქვს გააუქმოს მასთან დადებული ხელშეკრულება.

15. შემსრულებლის საქმიანობისადმი კონტროლს განახორციელებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელშეკრულება

**მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოსი მოხუცებულობის პენსიონერთან, ინვალიდთან მათ მიერ მოსახლეობისათვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საგნების რემონტის შესახებ**

ქ———————— „————"————197 წ.

ჩვენ, ქვემო ხელისმომწერლებმა ————————————————
(ყოფაცხოვრების სამსახურის საწარმოს დასახელება)

საწარმოს დირექტორის ———————————————— სახით,
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ერთი მხრით, და ყოფაცხოვრების სამსახურის სპეციალისტმა — მოხუცებულობის პენსიონერმა, ჯგუფის ინვალიდმა ————————————————
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

მეორე მხრით, დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ———————— კისრულობს მომსახურება გაუწიოს პირადი შრომით
(გვარი)

———————————————— შეკეთებაში
(შესაკეთებელი საგნების დასახელება)

სახელოსნოში, პავილიონში და ა. შ. ————————————————
(შეპირობებული დრო)

თავის ოჯახში ———————————————— შემკვეთის ოჯახში,
(მისამართი)

ქუჩაში, ეზოში და ა. შ.

2. ———————— კისრულობს მომსახურების გაწევის დროს ატაროს
(გვარი)

ჟეტონი — საფირმე ნიშანი ————————————————
(საწარმოს დასახელება)

3. ———————— კისრულობს გაუწიოს მომსახურება შემკვეთთან შეთანხმებულ ფასად, მაგრამ არა უმეტეს საპრეისკურანტო ფასისა მოცემული სახის სამუშაოსათვის საწარმოში ———————— ვალდებულია შეასრულოს შეკვეთები შემკვეთთან შეთანხმებულ ვადაში.
(გვარი)

4. ———————— პასუხს აგებს საწარმოს წინაშე სამუშაოს ხარისხისათვის, მისი შესრულების ვადისა და ნივთის დაცვა-შენახვისათვის
(გვარი)

შემკვეთის მოთხოვნით ———————— მისცემს შენახვის ხელწერილს
(გვარი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთის მიღებაზე და მისი შეპირობებული შეფასებით. შეკვეთის ხარისხის, მისი შესრულების ვადის და ფასის საკითხზე წამოჭრილ უთანხმოებას გადაწყვეტს საწარმო.

5. ——————— (გვარი) უზრუნველყოფს 1 პუნქტში აღნიშნული მომსახურების შესრულებას შემდეგი თანხის ოდენობით თვის განმავლობაში:

| | | | |
|---|---|---|---|
| იანვარში | ——— მან. | ივლისში | ——— მან. |
| თებერვალში | ——— მან. | აგვისტოში | ——— მან. |
| მარტში | ——— მან. | სექტემბერში | ——— მან. |
| აპრილში | ——— მან. | ოქტომბერში | ——— მან. |
| მაისში | ——— მან. | ნოემბერში | ——— მან. |
| ივნისში | ——— მან. | დეკემბერში | ——— მან. |

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იგი შეიძლება გაგრძელდეს.

6. მე-5 პუნქტში აღნიშნული მომსახურების მოცულობის შესასრულებლად ——————— (საწარმო) მისცემს ——————— (გვარი) ნედლეულსა და მასალებს საჭირო რაოდენობის ფარგლებში, დაწესებული ნორმების თანახმად.

7. ——————— კისრულობს თვეში ორჯერ — 14 და 28 რიცხვს შეიტანოს ბანკში საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან ცენტრალურ სალაროში ამონაგების დავალების თანხა, რაც შეპირობებულია ხელშეკრულებით.

8. ——————— (გვარი) თვეში ორჯერ საწარმოში ხელფასის გაცემის ვადის მიხედვით მისცემს ხელფასს ——————— (გვარი) ამონაგების შეპირობებული დავალების ——— პროცენტის რაოდენობით და დაუკავებს გადასახადს დადგენილი წესით.

ამონაგებიდან, რაც შეტანილია საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან ცენტრალურ სალაროში ამონაგების შეპირობებული დავალების გადამეტებით ——————— (საწარმო) მისცემს ——————— (გვარი) ხელფასს ———————პროცენტის რაოდენობით.

ამონაგების მოცულობის შეცვლა დაიშვება მხარეთა შეთანხმებით წელიწადში მხოლოდ ორჯერ.

10. თუ ——————— (გვარი) საპატიო მიზეზების უქონლად არ შეასრულა შეპირობებული ამონაგების მოცულობა ორი თვის განმავლობაში——————— (საწარმოს) უფლება აქვს გააუქმოს ეს ხელშეკრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 29 საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 13 იანვრის № 10 და 1965 წლის 19 თებერვლის № 99 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სს რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა საარქივო საქმის გაუმჯობესებისათვის.

აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფო არქივებისა და მათი ფილიალების 11 სპეციალური შენობა, რომელთა საცავების საერთო ტევადობა 4,5 მილიონ ერთეულს აღწევს. შენდება კიდევ ასეთივე ტევადობის 5 შენობა, რომელთაგან ოთხი შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის დამლევამდე. გაუმჯობესდა სახელმწიფო არქივებისა და მათი ფილიალების დაკომპლექტება სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალებით. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სამინისტროებისაგან, უწყებებისაგან, დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან სახელმწიფო შესანახად მიღებულია ერთ მილიონამდე საქმე და საბუთი.

ადგილებზე საარქივო საქმის დაყენების გაუმჯობესებაში დადებითი როლი შეასრულა რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ფილიალების შექმნამ 1965 წელს.

რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებანი მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ იმისათვის, რომ დასაბეჭდად და გამოსაცემად მოამზადონ დოკუმენტებისა და მასალების კრებულები საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის ძირითად საკითხებზე.

მიმდინარეობს სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შევსება და გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს იმას, რომ გაფართოვდეს სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და სხვა პრაქტიკული მიზნებისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში საარქივო საქმის ორგანიზაციას ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი უწყებრივი არქივები. ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, სოციალური უზრუნველყოფის, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, დამზადების, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის, აგრეთვე სასამართლოსა და პროკურატურის ბევრი დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას, მათ მოწესრიგებას და სახელმწიფო შენახვისათვის დროულად ჩაბარებას. სამინისტროების, უწყებებისა და მათი საქვეუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების არქივებში წესრიგში არ არის მოყვანილი ერთ მილიონამდე საქმე. ბევრი ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა ინახება ნესტიან სარდაფებსა და ამ მიზნისათვის გამოუსადეგარ სხვა სადგომებში, რის გამო ისინი ფუჭდება და იღუპება. არ არის შექმნილი საჭირო პირობები, რომ ადგილობრივ ხანგრძლივად შეინახონ დოკუმენტური მასალები პირადი შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საარქივო სამმართველომ დღემდე ვერ შეძლო აღმოეფხვრა იმ მასალების დაშორიშორებულობა, რომლებიც შეადგენენ ერთიან ფონდებს (საზოგადო მოღვაწეთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა არქივები, ძველი ხელნაწერები და ა. შ.), მაგრამ გაფანტულია რესპუბლიკის ბევრ მუზეუმსა და საცავში.

აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის, აგრეთვე აბაშის, ბოგდანოვკის, გალის, გარდაბნის, ჯავის, დუშეთის, კასპის, ქარელის, ქედის, მარნეულის, მცხეთის, რუსთავის, სამტრედიის, ხულოს, წალკისა და წყალტუბოს 16 საქალაქო და რაიონული სახელმწიფო არქივის მატერიალური ბაზის სიმცირე სერიოზულად აძნელებს გეგმაზომიერ მუშაობას დოკუმენტური მასალების მისაღებად სახელმწიფო შენახვისათვის.

საარქივო დაწესებულებებს არ მოეპოვებათ თანამედროვე მოწყობილობა საარქივო მასალების შენახვისათვის, რესტავრაციისა და კონსერვაციისათვის, მიკროფილმების გადაღებისათვის, გამრავლებისათვის, აკინძვისა და გამოყენებისათვის.

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი და შემდგომ გაუმჯობესდეს საარქივო საქმის ორგანიზაცია რესპუბლიკაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა სათანადო წესრიგში იქნეს მოყვანილი როგორც ცენტრალური აპარატის, ისე მათ სისტემაში შემავალი ყველა დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს არქივების დოკუმენტური მასალები, მათ შორის კინო-დოკუმენტები, ფოტო-დოკუმენტები და ფონოდოკუმენტები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია, და რეგულარულად ჩააბარონ ისინი დაწესებულ ვადებში რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო არქივებსა და მათ ფილიალებს;

ბ) შექმნან უწყებრივი არქივები სამინისტროებთან, უწყებებთან და მათ საქვეუწყებო ყველაზე დიდ დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებში, დააწესონ მათთვის საჭირო შტატები პერსონალის დამტკიცებული რაოდენობის, ხელფასის თვიური ფონდისა და იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია მმართველობის აპარატის შესანახად 1970 წელს, დააკომპლექტონ ისინი კვალიფიციური კადრებით, უზრუნველყონ დოკუმენტური მასალების შესანახი სათანადო სადგომებითა და საჭირო მოწყობილობით;

გ) გააძლიერონ მომთხოვნელობა საქმის წარმოების ქვეგანაყოფებისადმი, სისტემატურად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის გაუმჯობესებისათვის; აამაღლონ საქმისწარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგის მუშაკთა მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების დონე, მიიღონ ზომები მათი სამსახურებრივი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს:

ა) გააძლიეროს კონტროლი საარქივო საქმისა და საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის დაყენებისადმი სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აღმოუჩინონ მათ ქმედითი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება დოკუმენტური მასალების შენახვის, მოწესრიგებისა და გამოყენების, საქმისწარმოების უწყებრივი ინსტრუქციების, საქმეთა ნომენკლატურის შემუშავების, აგრეთვე არქივებისა და საქმისწარმოების ქვეგანაყოფების მუშაკთა სამსახურებრივი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

ბ) განახორციელოს დამტკიცებული საშტატო რაოდენობის, ხელფასის თვიური ფონდის და აპარატის შესანახად დაწესებული ლიმიტების ფარგლებში ზოგიერთი ღონისძიება, რომელთა მიზანია რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მმართველობის აპარატის სტრუქტურისა და ქსელის გაუმჯობესება, ამასთან, კერძოდ, იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა შეიქმნას სამმართველოს შემადგენლობაში სამინისტროებისა და უწყებების არქივების ხელმძღვანელობის სპეციალური ქვეგანაყოფები და გარდაიქმნას 1971-1972 წლებში ამბროლაურისა და დუშეთის რაიონული სახელმწიფო არქივები რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ფილიალებად;

გ) გაშალოს მუშაობა საქართველოს ისტორიის იმ დოკუმენტური მასალების გამოსავლინებლად, რომლებიც დაცულია ქვეყნის სხვა სახელმწიფო არქივებში და დააკომპლექტოს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივები ამ დოკუმენტების მიკროფოტოპირებით.

3. შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების, გამომცემლობების, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, თეატრებისა და სხვათა დოკუმენტური მასალების, აგრეთვე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა არქივების უკეთ დაცვის, აღრიცხვის, მოწესრიგებისა და ყოველმხრივ გამოყენების მიზნით, შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს სისტემაში საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის შესახებ, მისი სტრუქტურა და შტატები რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებისათვის დამტკიცებული პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის და აპარატის შესანახად დაწესებული ლიმიტების ფარგლებში.

4. დაევალოთ კულტურისა და განათლების სამინისტროებს 1970 წლის დამლევამდე დააზუსტონ პოლიტიკურ, საზოგადო მოღვაწეთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ძველი ხელნაწერების, სიგელ-გუჯრების, პირადი არქივების, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ორგანიზაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათა და საწარმოთა საარქივო ფონდების, აგრეთვე ნეგატივებისა და ფოტოდოკუმენტების ნუსხა, რომლებიც დაცულია ლიტერატურულ, თეატრალურ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, მხარეთმცოდნეობისა და სახალხო განათლების მუზეუმებში და რომლებიც უნდა გადაეცეს საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივს მუდმივ შესანახად.

აღნიშნული გადაცემა განხორციელდეს 1971 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენებაში საარქივო დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოსთან ერთად 1970 წლის დამლევამდე შეიმუშაონ წინადადებები იმის შესახებ, რომ შეიქმნას ცეცხლგამძლე სინთეზური მასალებისაგან საფუთავი საშუალებანი საარქივო მასალების შესანახად და მოეწყოს მათი სერიული წარმოება, ამასთან გაითვალისწინოს ამ მასალებზე სახელმწიფო არქივების, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არქივების ყოველწლიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მთავარმმართველებამ:

ა) 1971 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს საჭირო რაოდენობით გამოუყონ კინოფირი, მაგნიტური ფირი, ფირი „მიკრატ-300“, ფოტოქაღალდი და სხვა სახეობის ქაღალდის ნაწარმი კინო-ფოტო-და ფონოდოკუმენტების ხელახლა გადასაღებად და ხელახლა ჩასაწერად, დოკუმენტური მასალების მიკროფილმების გადაღებისათვის, აკინძვისა და კატალოგიზაციისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის სახელმწიფო არქივებისათვის მეგზურებისა და სხვა სამეცნიერო-საცნობარო დამხმარე სახელძღვანელოების გამოსაცემად;

ბ) გაითვალისწინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს კაპიტალურ დაბანდებათა 1971-1973 წლების გეგმების პროექტებში ასიგნებათა გამოყოფა სახანძრო დაცვის შეთავსებული სიგნალიზაციის მოსაწყობად სახელმწიფო არქივებისა და მათი ფილიალების შენობებში.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საარქივო სამმართველომ გაითვალისწინონ 1971 წლიდან რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა ბიუჯეტის პროექტებში სახსრების გამოყოფა, რომლებიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის სხვა სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქივებში დაცული საქართველოს ისტორიის დოკუმენტური მასალების გაცოცხლინება-გადაღებისათვის, რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების მეგზურებისა და სხვა სამეცნიერო-საცნობარო დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემისათვის და მასალებისა და საარქივო მასალების შესანახი კოლოფების შეძენისათვის.

9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

ა) შეამოწმონ საარქივო საქმის დაყენება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მიიღონ გადაუდებელი ზომები მის გასაუმჯობესებლად და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სამი თვის ვადაში გადაწყვიტონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამტრედიის, ბოგდანოვკის, კასპის, ქარელის, აბაშის, დუშეთის, მცხეთის, ძარნეულის, გარდაბნის, გალის, ქედის, ხულოს, ჯავის, წყალტუბოსა და წალკის რაიონული და რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არქივების უზრუნველყოფასთან დოკუმენტური მასალების შესანახად გამოსადეგი სადგომებით, აგრეთვე პერსონალის ნორმალური მუშაობისა და მომსვლელთა მისაღებად საჭირო პირობების შექმნასთან.

10. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღოს ზომები, რათა უსწრაფესად განთავისუფლდეს ქ. ბათუმში აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობის ასაგებად გამოყოფილი მიწის ნაკვეთი და დაწყებულ იქნეს ეს მშენებლობა, ხოლო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს იმ დროებით ბინებში მცხოვრებ მობინადრეთა გადასახლება, რომლებიც მდებარეობენ რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების შენობათა კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობის ტერიტორიაზე — პეკინის ქუჩაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 26 თებერვალი, № 88.

ინდექსი 76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 1 1970 год

**გამომცემელი:** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16, ქაღალდი
ნაბეჭდი თაბახი 6,25 სააღრიცხვო თაბახი 5,8

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2320 შეკვეთა 332

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

Б 102/108

ეროვნული
ბიბლიოთეკა